საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 57 (859) | შაბათი, 9 აპრილი, 1994 წელი | ფასი 3000 კუპონი

ედუარდ შევარდნაძე:

ხუთი წელიწადი გვაშორებს ცხრა აპრილს — ამაღლებულსა და, ამავე დროს, საქართველოს ისტორიის სისხლიან თარიღს, ქართული სულის აღზევებისა და ქართული ცნობიერების გასხივოსნების თარიღს, ზნეობრივი სიმაღლითა და ეროვნული მთლიანობით შიდა და გარე მტერზე სულიერი ამაღლების თარიღს.

საქართველოს ისტორიის ამ ტრაგიკული და ჰეროიკული ფურცლის დაწერაში სხვადასხვა, ერთმანეთის გამომრიცხავი, ამდენად ერთმანეთთან შეუთავსებელი ძალები მოქმედებდნენ, რამაც განაპირობა მთელი ტრაგიკულობა ცხრა აპრილისა.

ისტორიამ სხვადასხვა როლი განუსაზღვრა ამ საბედისწერო დღის მონაწილეებს... ისტორია თავისას მიუზღავს ყოველ მათგანს — მსხვერპლსაც და ჯალათსაც, მაგრამ იმავე ისტორიას სამუდამოდ შემორჩება ამაღლებული და რეალური ლეგენდა იმ თავგანწირულობაზე, ურომლისოდ არაფერი ისტორიულად მნიშვნელოვანი არსად არ იქმნება.

აქ სრულად და მთელი თავისი სიწმინდითა და მშვენიერებით გამოვლინდა ქართული სული.

ცხრა აპრილი განუმეორებელი იყო საქართველოს ისტორიაში, მაგრამ იგი არ იყო ერთადერთი, რადგან ასევე ჰეროიკული და ტრაგიკული იყო გაბრძოლება ქართული სულისა 1956 წლის 9 მარტს, 1924 წლის აგვისტოს, 1921 წლის თებერვალში... ასეთი წლები და ასეთი თვეები საქართველოს ისტორიის სიღრმეში ბევრია, სამწუხაროდ თუ საამაყოდ ბევრი, რადგან ერი, მართალია, სისხლისაგან იცლებოდა, მაგრამ მაინც იბრძოდა, იბრძოდა და საბოლოოდ იმარჯვებდა კიდეც.

ახლაც გავიმარჯვებთ!

სიმონ კილაძის ფოტო.

შოთა ნიშნიანიძე

ცხრა აპრილი

ვის უნდა ეს გლოვის თეატრონი,
ხეები გოდებით გალექსილი!
ამდენი მტირალა იადონი,
ამდენი მგლის ლეკვი ალესილი!

გლადიატორებთან — ყვავილებით?
გლადიატორებთან — მგალობლებით?
ვაიმე, ულმერთოდ დავილევით!
ვაიმე, ულმერთოდ დავობლდებით!

— შენ საით, პატარა ცოტნე-ბიჭო?
შენ სადღა, პაწია ამორძალო?
ამ გრიგალს როგორღა გამოგლიჯოთ,
ან სიკვდილს როგორღა გამოგძალოთ!

ამ მგალობლებს გუნება არ გაუმგელო,
სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველო.
თქვენ გინდათ, რომ მოკვდეთ დიდ საქართველოსთვის,
თქვენ მართლა დიდ ამბავს, დიდ საქმეს შემოწვდით.
მე ისე მომწონხართ და ისე მიყვარხართ,
მე მინდა იცოცხლოთ დიდ საქართველოსთვის.

ერო — ამაყო და უშიშარო,
ერო — უდრეკო და შემოქმედო,
იყავ უდრტვინველი, თუნდ გიშარონ,
თუნდაც ავი თვალით შემოგხედონ.

ერო — სტუმრისაგან აკლებულო,
ერო — მტერ-მოყვარის მასპინძელო,
ერო — ფალავნების საკრებულო,
თუ გსურს ფალავნობა გაიგრძელო,

იყავ გუშინდელზე გონიერი,
რაკი უფლის ნება გამოვლინდა,
უფრო მრავალი და ღონიერი,
აღსდეგ ანგელოსთა გალობიდან!

ამ მომავალს გუნება არ გაუმგელო,
სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველო.

1989 წ.

საქართველოს პარლამენტში

გადაღლა თუ უპასუხისმგებლობა?

...ვერ დავიჯერებ, რომ იმ დეპუტატებმა, ვინც რვა აპრილის სხდომაზე ფეხით მივიდნენ, ვერ შეამჩნიეს იქვე, კავშირგაბმულობის შენობის კიბეზე ჩამომჯდარი ცამეტიოდე წლის ბიჭი, რომელსაც გულზე ჩამოკიდებულ მუყაოს ნაგლეჯზე ბავშვური ხელით ეწერა — „ვარ ლტოლვილი, დედმამა აფხაზეთში მომიკლეს, მე და ჩემი უმცროსი ძმა ქალაქში ვაპირებთ დაბრუნებას, გთხოვთ დაგვეხმაროთ“. ვერ დავიჯერებ, რადგან არ შეიძლება ეს ნახო და მერე თავს იმის უფლება მისცე — განაცხადო, რომ გადაღლილი ხარ და შენი პირდაპირი მოვალეობის შესრულება აღარ შეგიძლია, თუ ორი კვირა ან, მინიმუმ, ათი დღე არ შეისვენე...

რვა აპრილის საპარლამენტო თავყრილობას მეტი ფაქტობრივად არაფერი გაუკეთებია: დილით თერთმეტის ნაცვლად თორმეტის ნახევარზე შეუდგა მუშაობას, მერე განათლების მინისტრის არდამტკიცებას მოანდომა ორი საათი, ხოლო საღამოს სხდომაზე ორმოცი წუთის დაგვიანებით მოსულმა დეპუტატებმა მწვავე დებატები გამართეს იმაზე, თუ რამდენი დღით უნდა „ამოესუნთქათ“.

ჯაბა იოსელიანის ცნობილი ნათქვამის პერიფრაზირება რომ მოვახდინოთ, არც პარლამენტარობაა ლობიოობა, და პარლამენტის ყველა წევრი, მიუხედავად საკუთარი პოზიციისა, ადრე თუ გვიან მაინც წარდგება ხალხის, თავიანთი ამომრჩევლების წინაშე და, ასე მგონია, რომ მოუწევს საერთო უპასუხისმგებლობისათვის პასუხის გაცემა.

მაშინ, როცა ღალის ხეობაში კვლავ გრძელდება ქართული სოფლების დაბომბვა, როცა კვლავ იღუპებიან ადამიანები, როცა 250 ათასი ლტოლვილის დაბრუნება-არდაბრუნების საკითხი გადასაწყვეტია, ხოლო მოსახლეობის დიდი ნაწილი სულს ლაფავს შიმშილისაგან, გვაქვს კი იმის უფლება, რომ ესოდენ ძვირფასი დრო ასე ხელაღებით ვფლანგოთ?

აკი აღნიშნა სახელმწიფოს მეთაურმა სხდომის დასასრულს, რომ პარლამენტს არა აქვს ასეთი ფუფუნების უფლება. ისიც დასძინა, რომ მაშინ, როცა თამაზ კვაჭანტირაძის მსგავსი მოღვაწეებით განებივრებულნი არა ვართ, მისი კანდიდატურა არ უნდა ჩავარდნილიყო...

სიმშვიდე სილაში თავის ჩარგვით სირაქლემამაც კი ვერ შეიძინა, არამც თუ კაცმა.

...და მაინც ვის სჭირს დასვენება? მათ, ვინც უზრუნველყოფილია, და თუ უზრუნველყოფილი არ არის, ღრიური ლუკმა მაინც არ უჭირს, თუ მათ, ვისაც ერთიც აკლია და მეორეც, ვინც ღვთის ანაბარა არის მიტოვებული?

მოდის დრო, ბატონებო, როცა, ბოლოს და ბოლოს, გაირჩევა ყალბი ციმციმი ოქროს ბრწყინვალებისაგან.

ფერიდე ბიწაძე,
„სრ“ საპარლამენტო კორესპონდენტი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
ზურაბ კერვალიშვილის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს ზურაბ კერვალიშვილი საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
რუსუდან ბერიძე

თბილისი, 1994 წლის 7 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
ვაჟა გუჯაბიძის საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს ვაჟა გუჯაბიძე საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
რუსუდან ბერიძე

თბილისი, 1994 წლის 7 აპრილი.

საწყისი ეტაპი დასრულდა

ედუარდ შევარდნაძე შეხვდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელს

8 აპრილს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელს მოჰამედ შადმან ვალავის და მისიის ექსპერტებს. შეხვედრას ესწრებოდნენ ვიცე-პრემიერი თემურ ბასილია, ფინანსთა მინისტრი დავით იაკობიძე და ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ნოდარ ჯავახიშვილი.

შეხვედრა ერთგვარად შემაჯამებელი იყო, რადგანაც მისიამ დაასრულა საქართველოში მუშაობის პირველი, საწყისი ეტაპი. მისიის წარმომადგენლები შეხვდნენ მთავრობის წევრებს, სხვადასხვა საზოგადოებრივი წრეების წარმომადგენლებს, გაეცნენ ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ ვითარებას.

საერთაშორისო სავალუტო მისიის ხელმძღვანელმა თქვა, რომ საქართველოში გაცილებით რთული ვითარება დახვდა, ვიდრე მოელოდა; ხაზგასმით აღნიშნა სირთულეები საფინანსო-საკრედიტო სფეროში, დეფიციტი რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში, კუპონის სრული დევალვაცია.

მისი აზრით, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია საკრედიტო ფულადი პოლიტიკის გამკაცრება, სოფლის მეურნეობის სექტორის პრივატიზაცია, რადგანაც სწორედ ეს არის ის უბანი, რომელიც ყველაზე პოზიტიურ ეფექტს იძლევა.

სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ ქვეყანაში შექმნილ რთულ ვითარებას, ქვეყნის ეკონომიკა პარალიზებულია და უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მიმდინარე საომარი მოქმედების გამო, ფაქტობრივად, ვერ ვმუშაობდით.

საქართველოს მეთაურმა აღნიშნა, რომ ქართული მხარე მკაცრად დაიცავს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის რეკომენდაციებს.

შეხვედრის დასასრულს მისიის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ საქართველოში არსებული ვითარება უიმედო არ არის. მთავარია, დღესვე გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები. განსაკუთრებით აღნიშნა, რომ მოხარულია საქართველო-აფხაზეთის მოლაპარაკებებში მიღწეული პროგრესით, რაც, მისი აზრით, საქართველოში ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციის საწინდარი გახდება.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური.

9 აპრილს, 10 საათზე

1989 წლის 9 აპრილი სამუდამოდ ჩაიწერა საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში მამულისა და თავისუფლებისათვის თავგანწირულთა სისხლით. საქართველოს ტკივილმა იმხანად შეძრა მთელი მსოფლიო და გახდა საბჭოთა კავშირის საბოლოო ნგრევის, ახალი მსოფლიოს შექმნის პირველი ნიშანი.

9 აპრილმა მოგვიტანა არა მხოლოდ ტკივილი, არამედ ჩვენი სიჯიუტისა და უძლეველობის განუმეორებელი განცდაც. საერთო ტრაგედიამ შეადუღაბა მთელი საქართველო და დაგვარწმუნა, რომ ჩვენს ერთობას წინ ვერაფერი დაუდგება. ნიშანდობლივია ისიც, რომ 9 აპრილი გახდა დღე, როდესაც საქართველომ კიდევ ერთხელ დაადასტურა დამოუკიდებლობის ურყევი ნება.

ხუთი წლის გადასახედიდან კარგად ჩანს ყველა ის შეცდომა, რამაც მიგვიყვანა დღევანდელ უმძიმეს მდგომარეობამდე. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევინარჩუნეთ ერთობა, დავიქსაქსეთ, ჩავეშვით ურთიერთმტრობისა და ურთიერთდაპირისპირების მორევში. ალბათ სწორედ დღეს, როცა ქვეყანას და ხალხს ასე უჭირს, ჩვენთვის მნიშვნელოვანია 9 აპრილის გაკვეთილები.

გვახსოვდეს, რომ ყველაფერი, რაც მოგვიპოვებია, მოგვიპოვებია ჩვენი ერთობით, ყველაფერი რაც დაგვიკარგავს, დაგვიკარგავს ჩვენი დაქსაქსულობის გამო.

დაე, თუნდაც ამ დღეს, 9 აპრილს, თითოეული ჩვენთაგანი ჩაუფიქრდეს ამ მწარე გაკვეთილს, რათა ვაქციოთ იგი ჩვენი ეროვნული თანხმობის, ერთიანობის ჭეშმარიტ დღედ.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირი მოგმართავთ ყველას, 9 აპრილს დილის 10 საათზე შევიკრიბოთ რუსთაველის პროსპექტზე, რათა კიდევ ერთხელ პატივი მივაგოთ სამშობლოსათვის თავდადებულთა ხსოვნას, გამოვხატოთ ჩვენი ნება, ერთიანი ძალებით გადავლახოთ ყველა სიძნელე ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის ურთულეს გზაზე.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მთავარი საბჭო

ეძღვნება ლეო ქიაჩელის დაბადების 110 წლისთავს

წლეულს აღინიშნება ცნობილი ქართველი მწერლის **ლეო ქიაჩელის** (შენგელაიას) დაბადების 110 წლისთავი. ამ თარიღს ეძღვნება გამოფენა, რომელიც საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა. სტენდებზეა ფოტომასალები, დოკუმენტური მასალები, რომლებიც ასახავენ მის ცხოვრებასა და შემოქმედებას. დამთვალიერებელი ამ მასალებიდან შეიტყობს ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, შვეიცარიის უნივერსიტეტში სწავლის დროს მოწინავე რუს, გერმანელ, ფრანგ მწერლებთან, საზოგადო მოღვაწეებთან მისი ურთიერთობის შესახებ. აქვე წარმოდგენილია მისი პირველი მოთხრობები, ნოველები, რომანი „ტარიელ გოლუა“, რომელიც დაწერა 1915 წელს ჟენევაში და გამოსცა 1917 წელს საქართველოში. ასევე ფართოდ ცნობილი რომანები „სისხლი“, „გვადი ბიგვა“, „მთის კაცი“, ნოველები „თავადის ქალი მაია“, „ჰაკი აძბა“ და სხვათა პირველი გამოცემები.

რეპორტაჟი საგანგებო სიტუაციის ზონიდან

მზე პირს იბანს

1. „არ მეშინია, არც ერთ სოფელში შესვლა“

ობივატელისთვის „არეულობა სამეგრელოში“ არ დამთავრებულა. ობივატელი ზუგდიდიდან თუ წალენჯიხიდან ჩამოსულ კაცს შეთქმულივით შეჰყურებს თვალებში და „საიდუმლოების“ გამოცინცვლას ცდილობს: „გზებზე ისევ არის პიკეტები?“ „ქუჩაში თავისუფლად დადის ხალხი?...“ ობივატელს სურს სიმართლე იცოდეს, მაგრამ იგი ამავე დროს ეჭვიანია, მისთვის ეს სიმართლე საკუთარი თვალსაწიერის ცოდნით მიჯნებით არის შემოსაზღვრული. ამიტომ ყბადაღებულ კითხვას „რა ხდება დღეს სამეგრელოში?“ მისთვის ჯერაც აქვს პოლიტიკური დატვირთვა.

ჰოდა, ჩვენც ამ კითხვაზე პასუხით დავიწყებთ — სამეგრელოში დღეს ხდება ის, რაც საერთოდ ხდება სრულიად საქართველოში: არის იმედიც და უიმედობაც, ადამიანები შიშით შეჰყურებენ ხვალინდელ დღეს, ადამიანები დაიღალნენ ამდენი გაურკვევლობისგან, ადამიანებს შრომა და მშვიდი გარემო სურთ, ადამიანებს ნაკლებად სცხელათ პოლიტიკისთვის და, თუ მართალი გინდათ, სულაც ფეხებზე ჰკიდიათ ბევრი ისეთი რამ, რაზეც აქ, თბილისში, გვგონია, თავს იკლავენო...

თუ რამ, მაგალითად, ზუგდიდში მოჭარბებული ემოციით აღიქმება დღეს, ეს აფხაზეთის ომის პერიპეტიები და დევნილ-ხიზანთა პრობლემაა, რადგან ერთიცა და მეორეც უსაშველოდ სისხლხორცეულია მათთვის. ეს, ასე ვთქვათ, მთავარია, თორემ პრობლემებს რა დაულევს ფრონტისპირა ქალაქსა და რაიონს...

და მაინც, რაც, ალბათ, ყველაზე მეტად აინტერესებს მკითხველს, ეს ამ რეგიონში პოლიტიკური დაპირისპირებისა და კრიმინოგენული ვითარების ამჟამინდელი მდგომარეობაა. ნაწილობრივ და ზოგადად უკვე თავშივე ვთქვით ამაზე, მაგრამ ახლა უფრო ფართოდ ვილაპარაკებთ.

ამ კოპწია ქალაქს დღეს დიდი გასაჭირი ადგას. თვალსა სჭრის მოჭარბებული ნახანძრალები. ქუჩები სავსეა მილეთის ხალხით — ხიზნებით, რომლებსაც არც საქმე აქვთ რამე და არც სადმე წასასვლელი და დროს ერთმანეთთან საუბრით ჰკლავენ, ხავსს ეჭიდებიან — ნებისმიერი ყურმოკრული ინფორმაცია ათასგზის, გამოწვლილვით ანალიზდება, რათა რაიმე სანუგეშო, ხელჩასაჭიდი გამოწურონ აფხაზეთში დაბრუნების შესაძლებლობაზე.

მცირე ექსკურსი: შარშანდელი (და შარშანწინდელი) წელიწადი მართლაც მძიმე და უჩვეულო იყო ზუგდიდისა და ზუგდიდელებისთვის. 1992 წლის იანვრიდან დაწყებული შარშან ნოემბრამდე, ცნობილი მოვლენების დროს, დაიწვა 30-მდე სხვადასხვა შენობა: ენგურქაღალდკომბინატის სასტუმრო „ეგრისი“, სასტუმრო „ოდიში“, სამხედრო კომისარიატის, შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების, ბუნების დაცვის, კომუნალური მეურნეობის შენობები, სავაჭრო ცენტრი „თეთარჩელა“, ვაჭრობის სამმართველოს საწყობი, მე-8 სკოლა, სკოლა-ინტერნატის მთავარი კორპუსი... ააფეთქეს ტელეანძა, დაარბიეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, განათლების, კულტურის, საყოფაცხოვრებო და სხვა დანიშნულების ათობით ობიექტი... გაძარცვულია მანქანათმშენებელი ქარხანა (პროგრამული მართვის უძვირფასესი ჩარხებიდან ამოღებულია სპილენძის დეტალები და დანადგარების მესამედის აღდგენა შეუძლებელია), პირწმინდად გაქურდულია მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების საწარმო, შენობის ჩონჩხიღაა დარჩენილი ხორცკომბინატისგან, ყველაფერი დანარჩენი, უბრალოდ, მოიპარეს. მხოლოდ ხანძრებით მიყენებული ზარალი, მიახლოებითი გამოთვლით, 60 მილიარდ მანეთს აჭარბებს. მიახლოებითი გამოთვლით! მაგრამ რა მილიარდებით შეიძლება შეფასდეს საზოგადოებისთვის მიყენებული სულიერი და ფიზიკური ტრავმა, 130 ზუგდიდელის სიცოცხლე, რომელიც ძმათა პირისპირ დგომას შეეწირა „ორივე მხრიდან“...

ზუგდიდის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი ფრიდონ ადამია: შარშან, 6 ნოემბერს, დამნიშნეს ამ თანამდებობაზე. მანამდე კი, 1992 წლის ივნისიდან, აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ვიყავი. ბრძოლით გამოვაღწიე ალყაშემორტყმული სოხუმიდან. ზუგდიდს კარგად ვიცნობ, 20 წლის წინათ მილიციის უფროსად ვმუშაობდი. შარშან აქ ექსპრეზიდენტის მომხრეთა თარეშს ორჯერ კინაღამ ვემსხვერპლე, ჯერ ინგირთან, სხვა დროს კი ცაიშთან (დამაკავეს აფხაზეთიდან საქმეზე მომავალი და დახვრეტა დამიპირეს. როცა სახელმწიფოს მეთაურმა მე და გამგებელი ედიშერ ჩარგაზია დაგვნიშნა, გვითხრა, შენ შენი ჭკუითა და ცხოვრებისეული გამოცდილებით, ედიშერი კი ჭაბუკური ენერგიითა და მგზნებარებით ერთმანეთს შეავსებთ და იმედი მაქვს, ზუგდიდს ნორმალურ ცხოვრებას ჩქარა დაუბრუნებთო. სიტყვა მივეცით და ყველაფერს გავაკეთებთ დაპირებულის შესასრულებლად.

ახლა თქვენს შეკითხვაზე: „სამეგრელოს წინააღმდეგობა“ მითია, ყურით მოთრეული ლეგენდაა, ვიღაც-ვიღაცეებს ხელს აძლევდათ, რომ სწორედ ასე ყოფილიყო და საზოგადოებრიობის ერთი ნაწილი დააჯერეს კიდეც ამაში, ან უფრო სწორად, თავი დაიჯერეს. არავითარი „სამეგრელოს წინააღმდეგობა“ არ ყოფილა. რეგიონის მოსახლეობის 80 პროცენტისთვის აბსოლუტურად მიუღებელი გახლდათ ის, რაც აქ ხდებოდა. 80 პროცენტისთვის! აი, ის კი იყო, რომ ექსპრეზიდენტის მომხრეებმა ზუგდიდში თავი მოუყარეს თავიანთ თანამოაზრეებს, რესპუბლიკის ყველა კუთხიდან, დაამკვიდრეს ძალადობა და უზნეობა, უაზრო დივერსიები და ტერორი, რაც ვერ აღკვეთეს უსუსური და უპრინციპო კადრებით დაკომპლექტებულმა სამართალდამცავმა ორგანოებმა. ფაქტობრივად, ზუგდიდი და ზოგიერთი სხვა რაიონი მოწყვეტილი აღმოჩნდა რესპუბლიკისგან. საზოგადოებრიობა, მისი აქტივი და, რაც მთავარია, ქალაქისა და სოფლის ინტელიგენციის ძირითადი ბირთვი დაშინდა და დაითრგუნა. ისე რომ, სამეგრელო აქ არაფერ შუაშია. ამაში სტაბილიზაციის ის ტემპიც დაგვარწმუნებთ, რაც დღეს ამ რეგიონში მიმდინარეობს.

1993 წლის ნოემბრამდე, სანამ ზუგდიდში სამთავრობო ჯარები შემოვიდოდნენ და სიტუაციას დაეუფლებოდნენ, პოლიციას რამდენჯერმე დაესხნენ თავს, რასაც მოჰყვა მისი შენობის დაწვა-დანგრევა, თანამშრომელთა მკვლელობა, თითქმის მთელი შეიარაღებისა და სპეცტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების გატაცება. პოლიცია მხოლოდ განსაკუთრებულ და სასიცოცხლო ობიექტებს: ბანკებს, პურკომბინატს, წისქვილკომბინატს, მუზეუმს იცავდა. შინაგან საქმეთა სამმართველოს მუშაობის გააქტიურების მიზნით გადავახალისეთ თანამშრომელთა რიგები. დავითხოვეთ 50-ზე მეტი, ჩამოქვეითებით გადავაყენეთ 20-ზე მეტი თანამშრომელი. ქალაქისა და რაიონის ტერიტორიაზე შეიქმნა საქალაქო და რაიონული განყოფილებები. სულ ახლახან 100 საშტატო ერთეული დაგვემატა. ქვეგანყოფილებებს ვქმნით ნარაზენში, დარჩელში, ცაიშში, ზედა ეწერში, ყულიშკარში, რაც საშუალებას მოგვცემს, უფრო მოქნილად და ოპერატიულად მოვახდინოთ რეაგირება დანაშაულზე, მჭიდრო კავშირი დავამყაროთ საზოგადოებრიობასთან.

დღეისათვის ექსპრეზიდენტის მომხრე არც ერთი შეიარაღებული პირი ზუგდიდის რაიონში ტყეში არ არის გასული. ისინი შემოვირიგეთ (500-მდე კაცი!) და დღეს თოხი უჭირავთ ხელში ან ოფიციალურ სამხედრო სტრუქტურაში არიან გაერთიანებული. ზოგიც რაიონს გაეცალა. 500-მდე ავტომატი ნებაყოფლობით ჩაგვაბარეს (საერთოდ ჩამორთმეულ მძიმე ტექნიკაზე, უამრავ ჭურვსა და ვაზნაზე არაფერს ვამბობ), მათზე საქმე არ აღგვიძრავს, იარაღის, ძალით ჩამორთმევაც მოგვიხდა — 40 კაცი სამართალშია მიცემული.

დღეს მე არ მეშინია, არც ერთ სოფელში შესვლა. მხედველობაში მაქვს ის, რომ ორგანიზებული შეიარაღებული პოლიტიკური მოწინააღმდეგე აღარ არის. სამაგიეროდ, კრიმინალური მდგომარეობა კვლავ რთულია. ჯერ ერთი, ქალაქისა და რაიონის ტერიტორიაზე 80 ათასამდე ხიზანია. მათ თან ბევრი თახსირი, დამნაშავე ელემენტიც შემოჰყვა, ისინი ყაჩაღობასა და ქურდობას აგრძელებენ. მეორეც, ამჟამად ზუგდიდში, პოლიციის გარდა, 8 სხვადასხვა შეიარაღებული ფორმირება დგას, რომლებიც ერთმანეთს არ ემორჩილებიან: შინაგანი ჯარის სოხუმის, ოჩამჩირის, გალის, ზუგდიდის ნაწილები, გალისა და ზუგდიდის მხედრიონი... 8 სხვადასხვა სამხედრო ქვედანაყოფი! ბევრი მებრძოლის დისციპლინა აშკარად მოიკოჭლებს, ზოგიერთი 3-4-ჯერ არის ნასამართლევი; აფხაზეთის სამხედრო პოლიცია კი პოლკოვნიკ თემურ ხაზალიას მეთაურობით, რომელიც მათ შორის წესრიგს უნდა იცავდეს, ენგურზე დროებით საზღვარს იცავს — იმის გარდა, რომ აფხაზი ბოევიკები და მათი დაქირავებულები დროდადრო იარაღით ესხმიან მშვიდობიან სოფლებს, ქურდულადაც გადმოდიან, ადამიანებსა და საქონელს იტაცებენ. დამნაშავეთა მრავალი ჯგუფი დავაკავეთ. სამწუხაროდ, მათ შორის ბევრია სამხედრო...

ბატონმა ფრიდონ ადამიამ საუბრისას გვითხრა, ამას წინათ თანამშრომელი დავსაჯე იმის გამო, რომ ორი ვაზნა დააკლდაო. სხვათა შორის გვითხრა, როცა პოლიციის სამმართველოში დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებებზე გვიამბობდა, მაგრამ ამ ნიუანსმა რამდენჯერმე გაგვაელვებინა პარალელი, ქალაქში უთავბოლოდ ატეხილი სროლის მოსმენისას. ერთხელ „ქალის ბატალიონის“ ბიჭების ბათქაბუთქს შევესწარით, როცა ალბათ, ორი ასეული ვაზნა მაინც მიაწვეს სამიზნეებად დადგმულ ბოთლებს, ისე, თავისი ჭკის გასახარებლად. მეორედ საკუთრების დაცვის სამმართველოს ერთი „მწყერიფრენია“ მუშაკის „გამაფრთხილებელმა“ სროლამ შეგვახტუნა შუაგულ ქალაქში (ნეტა ვინ ყარამან ყანთელი ესხმოდა თავს!), მესამედ, გაეროს უშიშროების საბჭოში 21 მარტს ბუტროს-ბუტროს ღალის უკიდურესი გამოსვლით გულგასიებული ხიზნების სახელდახელო თავყრილობას მიეტივნენ რომელიღაც ფორმირების ჩაუქი ბიჭები ყარანგოზიანთ ქორებივით და ავტომატებით ცა ახადეს...

ეს ისე, იმის საილუსტრაციოდ, რომ, თუ ხანდახან ქალაქში სიმშვიდე ირღვევა, ისევ იმ უხვი შეიარაღებული ფორმირებების შემოქმედება ან ენგურგაღმა, მდებარე, ადმინისტრაციულად ზუგდიდის რაიონში შემავალ სოფლებზე მტრის ახალი თავდასხმის შესახებ ცნობის მიღებაა.

და მაინც, ფრონტისპირა, ან უფრო სწორად, საფრონტო ქალაქსა და რაიონში ცხოვრება უკვე შედარებით ნორმალურად მიედინება.

დღეს იქ ნომერ პირველი ამოცანაა რაიონის ეკონომიკის გაუმჯობესება, სოფლის მეურნეობის დარგის წამოწევა.

აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ვაჟა ფიფია: ჩვენი რაიონის აგრარული სექტორი 25 კოლმეურნეობას, 10 საზოგადოებრივ მეურნეობას, ამდენივე მეურნეობათაშორის საწარმოს, 2 აგროკომბინატს და 5 აგროფირმასა და სააქციო საზოგადოებას მოიცავს.

შარშანდელმა წელიწადმა ცუდი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ნავარაუდევი 40 ათასი ტონის ნაცვლად მხოლოდ 9400 ტონა ჩაის ფოთოლი მოიკრიფა. უკონტროლობის, შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის მოშლის შედეგად, მოუვლელია ჩაის პლანტაციები, არ განხორციელებულა სათანადო აგროღონისძიებები, არ შეუტანიათ სასუქები. თხილის პლანტაციების 85 პროცენტი მოსახლეობამ მიითვისა პრივატიზაციის საბაბით, დანარჩენი გაპარტახებული შემოუკავებელია. ცუდი ექსპლუატაციისა და აგროტექნიკური

(დასასრული მე-2 გვ.).

გარანტი—სამშვიდობო ძალები

საქართველოს დელეგაციის წევრთა პრესკონფერენცია

საქართველოს დელეგაციის წევრებმა, რომლებიც აპრილის დამდეგს აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ მოსკოვის ოთხმხრივ შეხვედრაში მონაწილეობდნენ, 8 აპრილს რესპუბლიკის პარლამენტის ოვალურ დარბაზში გამართეს პრესკონფერენცია ქართველი და საზღვარგარეთელი ჟურნალისტებისათვის. პრესკონფერენციაზე კითხვებს უპასუხებდნენ სანდრო კავსაძე, ვახტანგ რჩეულიშვილი და ლონდერ ცაავა.

დელეგაციის ხელმძღვანელს სანდრო კავსაძეს მიაჩნია, რომ მოსკოვის შეთანხმება პირველი ნაბიჯი და ეტაპია აფხაზეთში ლტოლვილთა დაბრუნებისა და კონფლიქტის მოწესრიგების გზაზე. როგორც მან თქვა, დღეს სოჭში მუშაობას იწყებს მოსკოვის შეთანხმებათა დებულებების რეალიზაციის ოთხმხრივი კომისია, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ დასახულია შეხვედრა იმ კონკრეტული საკითხების განსახილველად, რომლებიც აფხაზეთში გაეროს სამშვიდობო ძალების განლაგებას უკავშირდება.

კითხვას, „შესაძლებელია თუ არა ლტოლვილთა დაბრუნება და მათი უსაფრთხო ცხოვრება აფხაზეთში იმ დროს, როცა ხელისუფლების სათავეში არძინბას რეჟიმი იმყოფება, და ხომ არ გახდებიან ეს ლტოლვილები სეპარატისტთა მძევლები?“, კავსაძემ უპასუხა, რომ მათი უსაფრთხოების გარანტი უნდა გახდეს სამშვიდობო ძალები რუსეთის მონაწილეობით და გაეროს ეგიდით.

ამასთანავე მან აღნიშნა, რომ, როგორც ბოლო თვეების პრაქტიკა ცხადყოფს, აფხაზთა მხარეს შეუძლია დაარღვიოს მორიგებათა ესა თუ ის დებულება, ამიტომაც აუცილებელია ყველა დაინტერესებული მხარე მკაცრად ადევნებდეს თვალს მოსკოვის შეთანხმების შესრულებას.

გვესტუმრება ხუან ანტონიო სამარანჩი

20 აპრილს თბილისში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოდის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დელეგაცია ამ ავტორიტეტიანი ორგანიზაციის პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის მეთაურობით.

20-21 აპრილს დელეგაცია შეხვდება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის სხვადასხვა სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელებსა და გამოჩენილ ქართველ სპორტსმენებს — ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონებსა და პრიზიორებს.

დასახულია აგრეთვე ბატონ სამარანჩისა და მისი თანმხლები პირების შეხვედრა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან ედუარდ შევარდნაძესთან.

ანონსი

დღევანდელი ნომრის მესამე გვერდზე გთავაზობთ „ვეჩერნაია მოსკვაში“ (1994 წლის 10 მარტი) გამოქვეყნებულ წერილს — „[illegible] ლავრენტი ბერია მამაჩემია“.

რედაქცია ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობდა პრინციპით — მკითხველმა ყველაფერი უნდა იცოდეს!

ВЕЧЕРНЯЯ МОСКВА

მზე პირს იბანს

(დასასრული)

ღონისძიებების შეუსრულებლობის გამო დაკნინებულია ტუნგის, დაფნის, თუთისა და სხვა მრავალწლიანი ნარგავები. კრიტიკული სიტუაციაა შექმნილი მეცხოველეობაში: მსხვილფეხა საქონლის ფერმა შენარჩუნებულია მხოლოდ ექვს საზოგადოებრივ მეურნეობაში, ისიც უმნიშვნელო სულადობით. დატაცებული ან განადგურებულია დიდძალი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღი.

ყველაფერს გამოსწორება-აღდგენა სჭირდება. იმის მიუხედავად, რომ ქრონიკულად გვაკლია საწვავი (ამ ეტაპზე, საგაზაფხულო სამუშაოებისთვის სულ ცოტა 200 ტონა დიზელის საწვავი და 80 ტონა ბენზინი გვჭირდება, დღემდე კი მხოლოდ 30 ტონა დიზელის საწვავი მივიღეთ), ასეა თუ ისე, მაინც ორგანიზებულად მიმდინარეობს ჩაის პლანტაციების გასხვლა-გაფორმება, ლაოჩაის დამზადება. უკვე 200 ტონამდე ლაოჩაია დამზადებული. არადა, შეგვიძლო ეს რაოდენობა 1000 ტონამდე აგვეყვანა, უსაწვავობა ხელს რომ არ გვიშლიდეს. მისი მომხმარებელიც გვყავს, დოლარით გადაგვიხდის საფასურს. და აი, იმის ნაცვლად, რომ ვამზადებდეთ, მიწაში ვალპობთ ნედლეულს. ჩვენ ხომ სპეციალური ჩაის საწნეხი ექსპერიმენტული ფაბრიკაც გვაქვს, რომელიც აგურა ჩაის უშვებს.

ჯერჯერობით, არ მიგვიღია არც ერთი სახის მინერალური სასუქი. ეგ იყო, შარშანდლიდან შემორჩენილი 800 ტონა ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები შევიტანეთ ნიადაგში.

ელექტროენერგიის დეფიციტი ხელს გვიშლის ჩაის ფაბრიკების სეზონისთვის მომზადებაში. ფაბრიკებს დღემდე დაუხარისხებელი რჩება 150 ტონა ნახევარფაბრიკატი.

იკვეთება დიდი პრობლემა, რომელიც საგონებელში გვაგდებს: ენერგომომცველების ღირებულების დაუოკებელმა ზრდამ ვაითუ არარენტაბელურად აქციოს ჩაის მრეწველობა. წინასწარი გაანგარიშებით 1 კილოგრამი დაფასოებული ჩაის ღირებულება უკვე 8 ათას რუსულ მანეთამდე ავიდა, არადა, ჩვენი ჩაის ღირებულება ბარტერული გაცვლების დროს 1500 მანეთს არ ასცილებია. მთავრობამ პროტექციონისტული დამოკიდებულება უნდა გამოიჩინოს სოფლის მეურნეობის მიმართ.

ჯერ კიდევ არ არის დაზუსტებული ჩაის ფოთლის ღირებულება. სავარაუდოა, 5000 კუპონი ხელით მოკრეფილ ჩაიზე. დავა გრძელდება. გლეხი რუსულ ფულს, ან სანაცვლო პროდუქტს თხოულობს.

წლეულს გამოვასწორეთ ერთი შარშანდელი უსამართლობა: ჩაის ფაბრიკებმა დიდძალი დაუმსახურებელი მოგება მიიღეს, საზოგადოებრივი მეურნეობებიდან იაფად (უფრო სწორედ იმდროინდელი ფასებით) შეძენილი პროდუქცია გადამუშავების შემდეგ ძვირად გაყიდეს (ფასი უცებ ავარდა), მეურნეობები კი, როგორც იტყვიან, მშრალზე დარჩნენ. ამიტომ, ფაბრიკებს შარშანდელი მოგების ნახევარი მეურნეობებისათვის დავაბრუნებინეთ. ეს თანხა პლანტაციებზე „გამოუყვანას“ მოხმარდება. ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე ჩვენი პლანტაციების 45 პროცენტში — 2400 ჰექტარზე — ერთი გრამი ჩაის ფოთოლი არ მოკრეფილა (უფრო სწორედ, ექსპრეზიდენტის მომხრეები არ აკრეფინებდნენ), პლანტაციები გატყივდა და გაველურდა.

ზუგდიდის რაიონში ჩაის 15 სახელმწიფო და 14 კოოპერაციული მიკროფაბრიკაა. ამ მიკროფაბრიკებმა ცოტა თავსატეხი როდი გაგვიჩინა. ახლა მიმდინარეობს მათი ხელახალი რეგისტრაცია და ლიცენზირება. ეს ითვალისწინებს მათ მიერ ნედლეულის მიღების წყაროს, მიწის გამოყოფისა და მშენებლობის, დანადგარების მიღების კანონიერების დაზუსტებას, ტექნოლოგიური პირობების დაცვის მდგომარეობას. რაც შეეხება საოჯახო საამქროებს (ისეთი რაიონში 150-ზე მეტი იყო), ისინი გამგეობამ აკრძალა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ იქ ნედლეულის გადამუშავების არავითარი პირობები არ იყო დაცული, მეორეც, ძირითადად მოპარული ნედლეულითა და ელექტროენერგიით მუშაობდნენ..

ზუგდიდში სხვა თვისებრივი ცვლილებებიც ხდება. ხალხი საზოგადოებრივ მეურნეობათა შენარჩუნების მომხრეა. გამგეობას კურსი აგროგაერთიანებისა და აგროკომბინატების შექმნაზე აქვს აღებული: ხდება ინტეგრაცია: იქ, სადაც მეურნეობა და ჩაის ფაბრიკა ცალ-ცალკე იყო, ახლა კომბინატების სახით ერთიანდება, სხვაგვარად მეურნეობათა გაკოტრება გარდაუვალია, ეს კი მძიმე ტვირთად დააწვება მშრომელს. სწორედ ამ უსამართლობის დაძლევამ წარმოშვა აგროფირმებისა და აგროკომბინატების შექმნის იდეა.

პირველი, 1986 წელს შექმნილი ინგირის აგროკომბინატი იყო. ეს აპრობირებული ექსპერიმენტი ახლა ფართოდ ინერგება. წლეულს უკვე შეიქმნა ზედაეწერის აგროკომბინატი, რუხის საწარმოო კომერციული აგროფირმა „რუხი“, ნარაზენის აგროფირმა, ახალსოფლის სააქციო საზოგადოება.... ჯერჯერობით შენარჩუნებულია ყველა კოლმეურნეობა და მეურნეობა.

...იმ დღეს ზუგდიდში წამოწვიმა. ისე, როგორც ზღვისპირეთში იცის ხოლმე, უცებ ჩამოწვა ღრუბელი, მაგრამ თქორად არ ქცეულა. მალევე გაიხსნა ცა. ასე ვთქვათ, მზემ პირი დაიბანა. გამოდარება ზუგდიდის ცხოვრების ყველა სფეროს ეტყობა. თუმცა, ამის შესახებ მომდევნო წერილებში გვექნება საუბარი...

ალეკო ასლანიშვილი,
ოდიკ ქუხილავა,

დისკუსია: როგორ ვუშველოთ საქართველოს?

ისევ კუპონის შესახებ

რით დავძლიოთ კუპონით გამოწვეული კრიზისი? ამას წინათ, მინისტრთა კაბინეტს თავისი წინადადებები შესთავაზა სახელმწიფო მრჩეველმა ანზორ ბაბუხადიამ. დღეს იგი კვლავ ჩვენი გაზეთის სტუმარია.

— დიახ, წინადადებები შევთავაზე, — თქვა მან, — მაგრამ კონკრეტული გადაწყვეტილება ჯერჯერობით მიღებული არ არის. ხაზს ვუსვამ, რომ ჩემს წინადადებებს, პრობლემის რადიკალური გადაწყვეტის პრეტენზია არა აქვს, ეს გახლავთ დროებითი ან გადაუდებელი ღონისძიებები.

დროებითს რომ ვამბობ, მხედველობაში მაქვს ის პერიოდი, როცა მთავრობა თვითონ სცნობს კუპონს, როგორც კანონიერ საგადამხდელო საშუალებას, ანუ რა დღიდანაც დაიწყებს ხელისუფლება კუპონის კონვერტაციას, იმ დღიდანვე შეიძლება გამოცხადდეს და რეალურად გატარდეს ცხოვრებაში ყველა მოთხოვნა კუპონის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად ფუნქციონირების თაობაზე. ყველა დანარჩენი დაპირება და „დასახული ღონისძიება“ ლოზუნგის დონეზე დარჩება.

ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის ხელმძღვანელების, აგრეთვე, დარგის სპეციალისტების, მათ შორის ჩემი და თბილისის მერიის კატეგორიული წინააღმდეგობის მიუხედავად, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ 1992 წლის 4 მაისს მიიღო დადგენილება №522 „ვაჭრობის თავისუფლების შესახებ“. საწარმოებს, განურჩევლად ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, აგრეთვე, მოქალაქეებს, უფლება მიეცათ სავაჭრო, საშუამავლო და შესყიდვის (მათ შორის ნაღდ ანგარიშზე) საქმიანობა განეხორციელებინათ შეუზღუდავად, სპეციალური ნებართვის აუღებლად; საწარმოებსა და მოქალაქეებს უფლება მიეცათ ევაჭრათ (ხელიდან, არასტაციონარული დახლებიდან და ავტომანქანებიდან) მათთვის მოსახერხებელ ადგილებზე; შინაგან საქმეთა ორგანოებს აეკრძალათ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტვირთის თავისუფალი გადატანის შეზღუდვა, სატრანსპორტო და სხვა საშუალებებით გადაზიდული ნებისმიერი ტვირთის დაკავება და ჩამორთმევა, გადაზიდული ტვირთისათვის რაიმე საბუთის მოთხოვნა (შეძენის ნებართვა, ლიცენზია, ზედდებული და ა. შ.).

რა სავალალო შედეგებამდეც მიგვიყვანა ასეთმა განუკითხაობამ, დღეს ნათლად ჩანს. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ დადგენილების გაუქმება, ან მისი მოქმედების გარკვეული დროით შეჩერება მაინც, რათა ქვეყანაში ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის ფარგლებში აღდგეს სახელმწიფოებრივი წესრიგი. ეს არის პირველი წინადადება.

მეორე. კუპონის კურსის განმტკიცების მიზნით, მოსახლეობასთან ანგარიშსწორება ნებისმიერი უცხოური ვალუტით უნდა აეკრძალოთ: სატრანსპორტო ორგანიზაციებს, კომუნალური, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და ჯანდაცვის ობიექტებს, კავშირგაბმულობისა და ფასიან სასწავლო დაწესებულებებს და სხვა საარსებო მნიშვნელობის ნებისმიერ ორგანიზაციას, უწყებას, ობიექტს და იურიდიულ პირს. ამასთან, ამ საკითხში განსაკუთრებული გამონაკლისის დაშვების უფლება უნდა მიენიჭოს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სპეციალურ სამთავრობო კომისიას პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით.

მესამე. მოსახლეობის სოციალური დაცვისა და კუპონის მოქმედების სფეროს გაზრდის უზრუნველყოფისათვის, მიზანშეწონილი იქნება, რომ რესპუბლიკაში წარმოებული სურსათი და სხვა უმნიშვნელოვანესი საქონელი, სავაჭრო ქსელში გაიყიდოს მხოლოდ კუპონებზე და სახელმწიფო ფასებით. ტერმინი „სახელმწიფო ფასი“ საბაზრო ეკონომიკის პირობებში გარკვეულად უხერხულად აღიქმება, მაგრამ მუშაობის პროცესში საკითხის დაზუსტება და საბოლოოდ ჩამოყალიბება რაიმე განსაკუთრებულ სირთულესთან არ უნდა იყოს დაკავშირებული.

ამავე დროს, მოსახლეობას ნორმირების წესით კუპონებზე უნდა მივყიდოთ ისეთი აუცილებელი საქონლის მინიმუმი მაინც, როგორც არის პური, ბურღული, ცხიმი, რძე, მაკარონის ნაწარმი, მარილი, შაქარი, კვერცხი, საპონი, ასანთი, სარეცხი საშუალებები.

მეოთხე. მოსახლეობის სიდუხჭირის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მიმაჩნია ფასების არასწორი პოლიტიკა, მისი თვითდინებაზე მიშვება.

პრობლემის სასწრაფოდ მოწესრიგების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტროებმა შესაძლო მოკლე ვადაში განსაზღვრონ და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დასამტკიცებლად წარუდგინონ იმ პროდუქციისა და მომსახურების ნუსხის მინიმუმი, რომელთა ფასებისა და ტარიფების განსაზღვრა დაექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს და რეგულირებას.

მეხუთე. ჩვენი აზრით, ვერავითარ ცივილიზებულ ნორმებში ვერ თავსდება რესპუბლიკაში მოქმედი ვალუტის გადაცვლის მექანიზმი და მასზე დაწესებული ფიქსირებული გადასახადები.

ამ საქმეში გარკვეული სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარებისა და ამ დაწესებულებებისადმი მოსახლეობის ნდობის მოპოვების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სახელმწიფო შემნახველი კომერციული ბანკის ობიექტების გარდა, ნებისმიერ იურიდიულ პირს ან მოქალაქეს დროებით აეკრძალოს ვალუტის გაცვლის ოპერაციების შესრულება. ამასთან, ამ ბანკებს გადასახადი უნდა დაუწესდეს მხოლოდ შესრულებული ოპერაციების რაოდენობისა და მოცულობის შესაბამისად.

მეექვსე. აქსიომაა, რომ საქონლის ფასის ფორმირებაზე სხვა ფაქტორებთან ერთად გადამწყვეტ გავლენას ახდენს სამომხმარებლო ბაზრის საქონლით გაჯერება. თვით ამ უკანასკნელზე თავისთავად მოქმედებს კიდევ რამდენიმე სუბიექტური და ობიექტური ფაქტორი, ერთ-ერთი ფაქტორი, რომლის გადაწყვეტა ერთ დღეში შეიძლება, გახლავთ ის, რომ სავაჭრო ორგანიზაციებს, როგორც საბითუმო რგოლს, ისე საცალო ვაჭრობის ობიექტებს, თუნდაც შერჩევით, დროებით ნება დავრთოთ რესპუბლიკის გარედან შემოზიდული საქონელი კუპონის პარალელურად უცხოურ ვალუტაზე გაყიდონ. მათვე სავაჭრო ფართისა და ობიექტის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით დავუწესოთ ფიქსირებული კვარტალური გადასახადი იმ ვალუტით, რომელზეც გაფორმდება ვაჭრობის ნებართვა. ამასთან, ამ გადასახადში უნდა გაერთიანდეს ყველა ოფიციალური გადასახადი (მოგებიდან გადასახადი, საიჯარო გადასახადი და სხვ.), გარდა კომუნალური და დაცვის ხარჯებისა.

სხვათაშორის, ფიქსირებული გადასახადის დაწესების აუცილებლობაში ჩვენი პოზიციის აპრობაციის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 25 აგვისტოს №860 დადგენილებით, სახელმწიფო სავაჭრო ქსელის ობიექტებში ჩვენი ექვსთვიანი ბრძოლის შემდეგ ჩატარდა ექსპერიმენტი, რომელსაც დადებითი შეფასება მისცა ყველა დაინტერესებულმა მხარემ.

ამ წინადადებების განხორციელება შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნება სათანადო საკანონმდებლო ბაზა, შესაბამისი სამინისტროები და უწყებები განახორციელებენ აუცილებელ ორგანიზაციულ სამუშაოს და უზრუნველყოფენ შესრულებას.

ხმამაღლა ნათქვამად არ ჩამითვალოთ, მაგრამ სახელმწიფოს ნებისმიერი რეფორმის ჩატარების ან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ღონისძიებების განხორციელების უფლება მხოლოდ მაშინ აქვს, თუ მოსახლეობა ცოცხალი ეყოლება.

რეფორმებსა და საბაზრო ეკონომიკაზე გახშირებული საუბრების მიუხედავად, საქმე ადგილიდან არ იძვრის, სერიოზულად დამუხრუჭდა.

მიზეზი ის არის, რომ რესპუბლიკას, სამწუხაროდ, დღეისათვის არ გააჩნია ეკონომიკის მართვის ეტაპობრივი პროგრამა, აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ეშელონში ფაქტობრივად არ იყო პასუხისმგებელი პირი, რომელთანაც თავმოყრილი იქნებოდა რეფორმების განხორციელების მთელი საქმე, თუმცა, თანამდებობით ეს უფლება-მოვალეობა სხვადასხვა დროს მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეებს რ. გოცირიძეს და ა. ქადაგიშვილს. ისინი თანამდებობიდან ისე წავიდნენ, რომ რეფორმების თავიანთი პროგრამაც კი ვერ წარმოადგინეს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბატონი თეიმურაზ ბასილია გაითვალისწინებს მისი წინამორბედების შეცდომებს და ფართო საზოგადოებას უახლოეს პერიოდში წარუდგენს განსახილველად რეფორმების განხორციელებისა და ქვეყნის ეკონომიკური მართვის პროგრამას. ამას არსებით მნიშვნელობას ვანიჭებთ იმიტომ, რომ წინასწარ უნდა ვიცოდეთ, რა გზით ვაპირებთ სვლას. დავუჭიროთ მხარი და გვერდში დავუდგეთ თუ დროზე ჩამოცილდნენ ისინი, ვინც მისი პროგრამის მოთხოვნებს არ გაიზიარებს. საქმისათვის ასე აჯობებს. ერთი სიტყვით, ორ სკამზე ჯდომას არავის არ ვუსურვებ, თორემ შედეგები კიდევ უფრო სავალალო გვექნება.

ერთი თხოვნა — ჩემს ოპონენტებს: სანამ საბაზრო ეკონომიკის მტრად მომნათლავენ და სოციალიზმისკენ მობრუნების მცდელობას დამაბრალებენ, ვიკამათოთ და ვიმსჯელოთ. ოღონდ, არა ისე, ტენდენციურად, როგორც ეს ეკონომისტმა ავთანდილ ნემსიწვერიძემ იკადრა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1994 წლის 16 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „სანამ ჩვენ „ვბაზრობთ“.

ანზორ ბაბუხადია.

კარიკატურისტის თვალით



მურთაზ ააუშიძის ნახატი.

როგორი გზებით ვიაროთ?

თუ დროზე არ მივხედით, ჩვენს საავტომობილო გზებზე მალე ეშმაკიც კისერს მოიტეხს



ვისაც ბოლო ხანს ჩვენს მაგისტრალებზე ავტომობილით უმგზავრია, ნასიამოვნები რომ ვერ დარჩებოდა, ფაქტია. არ იფიქროთ, ახლა შარაგზის ყაჩაღებსა და გზებზე გამეფებულ უწესრიგობაზე მოგითხრობდით, არა, დღეს ჩვენი მაგისტრალების ტექნიკური მდგომარეობის თაობაზე მექნება საუბარი.

საქართველოში ბოლო წლებში განვითარებულმა სოციალურ-პოლიტიკურმა მოვლენებმა თითქმის მთლიანად დაანგრია ქვეყნის ეკონომიკა, შესაბამისად დაინგრა გზებიც. თუ 1990 წლამდე სრულდებოდა გარკვეული სამუშაოები და რესპუბლიკაში ყოველწლიურად 400 კილომეტრამდე გზაზე იგებოდა ახალი ასფალტბეტონის საფარი, ბოლო სამი წლის განმავლობაში ამ მიმართებით არაფერი გაკეთებულა. 1993 წელს გზების საექსპლუატაციოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილმა სახსრებმა 1990 წელთან შედარებით 13 პროცენტი შეადგინა, 1994 წელს კი — 2 პროცენტი. ვითარება ისე დამძიმდა, რომ ამ დანაკარგის ანაზღაურებას 15 წელიწადი მაინც დასჭირდება. საქართველოში რესპუბლიკური მნიშვნელობის და მაგისტრალური გზების მთელი სიგრძე 6180 კილომეტრია. 1990 წლისათვის ამ ქსელის ნახევარი კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვდა, მაგრამ...

მძიმე მდგომარეობაშია ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები, რომლის საერთო სიგრძე 15450 კილომეტრია. ამ გზების მშენებლობისა და მოვლა-პატრონობის ხარჯებს აქამდე რესპუბლიკის საწარმოები და ორგანიზაციები კისრულობდნენ. დღეს მათი უმრავლესობა გაჩერებულია.

საომარი მოქმედებისა და დივერსიების გამო, საავტომობილო გზებზე აფეთქებულია 45 ხიდი. დღეს მხოლოდ 33 ხიდია დროებით აღდგენილი.

ბოლო წლებში ავტომანქანებისა და დანადგარების ძარცვა-დატაცების შედეგად დარგმა დიდი ზარალი განიცადა. ბანდიტურმა თავდასხმებმა ტრანსპორტზე უჩვეულო მასშტაბებს მიაღწია — ბულდოზერების რაოდენობა 1991 წელთან შედარებით 38 პროცენტით შემცირდა, ავტოგრეიდერებისა — 35, სატვირთო მანქანების, ექსკავატორების, სატკეპნების, შესაბამისად 41, 32, 25 პროცენტით. დარგი მექანოაღჭურვილობით 10-15 წლის წინანდელ დონეს დაუბრუნდა.

დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა ზუგდიდის რკინა-ბეტონის ქარხნის, ინგირისა და კოკის საკარიერო მეურნეობები მთლიანად მოშალა. ამ რეგიონში ასფალტბეტონის ქარხნებისა და ქვის სამსხვრევების უმრავლესობა გაძარცულია. წაღებულია ელექტროძრავები, გაყვანილობა, მართვის პულტები.

ცუდი მდგომარეობაა მატერიალური მომარაგების მხრივაც. თუ 1990 წლისთვის დარგი 80 ათას ტონა ბიტუმს, 50 ათას ტონა ცემენტს, 17 ათას ტონა ლითონს იღებდა, ორი წელიწადია, აქ არაფერი შემოუტანიათ.

ამავე დროს, ბოლო წლებში რესპუბლიკათშორისი კავშირების მოშლის შედეგად გაუარესდა საწვავ-საპოხი მასალებით, ხე-ტყით, ნავთობ-ბიტუმით მომარაგება.

ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან თვალნათლივ ჩანს რესპუბლიკაში ამ მიმართებით როგორი მძიმე მდგომარეობაც არის შექმნილი. 1994 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით ამ მიზნებისთვის 240 მილიარდი კუპონია გამოყოფილი. ეს თანხა მხოლოდ მაგისტრალური გზების ორმოების შეკეთებას და სხვა წვრილმან სამუშაოებს თუ გასწვდება. დანარჩენი სამუშაოების შესრულებას კონცერნმა „საქავტოგზამ“ ძალიანაც რომ მოინდომოს, ვერ შეძლებს. გამოსავალი თითქმის არ ჩანს. სახელმწიფოს სამისო სახსრები არ გააჩნია, ამიტომაც, საჭიროა, საზღვარგარეთის ქვეყნების მსგავსად შეიქმნას საგზაო ფონდი. ამის თაობაზე რესპუბლიკის მთავრობაში უკვე შეტანილია პროექტი. ფონდი ძირითადად საწვავის, ავტომობილის საბურავების, მანქანების ვაჭრობიდან, გზების ექსპლუატაციის ბეგარისგან შევსებას და იგი ბიუჯეტს გამოათავისუფლებს ამ მიზნით გასაცემი ხარჯებისგან. მაგრამ, რადგანაც ჩვენში ამ მასალებითა და მოწყობილობებით ვაჭრობა ჯერჯერობით სტიქიურად, ქუჩებში ხდება, პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელი იქნება. ამიტომაც, საჭიროა კონსტრუქციული მექანიზმის შემუშავება, რომელიც ამ საქმეში ელემენტარულ წესრიგს დაამყარებს და ფონდს მუშაობის საშუალებას მისცემს. მაგრამ, სანამ ეს ფონდი შეიქმნება, პრაქტიკულად ამოქმედდება და შედეგს გამოიღებს, კონცერნის თანამშრომლები გულხელდაკრეფილი არ სხედან და შეძლებისდაგვარად ყველაფერს აკეთებენ ვითარების შესამსუბუქებლად, რათა ჩვენს გზებზე ელემენტარულად გადაადგილება მაინც შეიძლებოდეს. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ სახელმწიფოს დაუხმარებლად და მხოლოდ იმ სახსრებით, რაც კონცერნს ბიუჯეტიდან გამოუყვეს, ჩვენს ტრასებზე ავტომობილით მოსიარულენი შვებას ვერ იგრძნობენ.

დღეს კონცერნ „საქავტოგზის“ ხელმძღვანელობა დაუტვირთავი საგზაო ორგანიზაციების და საწარმოო პოტენციალის შესანარჩუნებლად ყველა ღონეს მიმართავს. მიმდინარეობს მოლაპარაკებები რუსეთის, თურქმენეთის და თურქეთის ფირმებთან. ამ გზით მიღებული შემოსავლები მოხმარდება დაძველებული ტექნიკის გაახლებას, ნავთობპროდუქტების და სამშენებლო მასალების შეძენას, რაც გარკვეულწილად ხელს შეუწყობს საავტომობილო გზების აღდგენასა და კეთილმოწყობას.

შოთა მაჭარაშვილი.

* * *

სურათზე: 475-მეტრიანი ხიდი მდინარე ჭოროხზე, რომელიც საავტომობილო გზების კონცერნმა საექსპლუატაციოდ ჩააბარა 1993 წელს.

ა. ძალიძის ფოტო.

«არაგვი ბიზნეს ბანკმა»
განაახლა
სავალუტო
კრედიტების
გაცემა
თვიური 20-25 პროცენტის დარიცხვით.
კრედიტი გაიცემა მყარი
გარანტიით.
მოგვაკითხეთ ძველ მისამართზე:
თავისუფლების მოედანი, № 4.
ტელ: 99-82-23, 93-25-94
15დან 17 საათამდე.

კავკასიის
ბანკი
საიმედოდ დაიცავს და მოგებით დაგიბრუნებთ
თქვენს ვალუტას
სავალუტო ანაბრის გახსნა შეუძლიათ კერძო და
იურიდიულ პირებს ექვსი თვის ვადით.
მინიმალური თანხა, რომლითაც შეიძლება
ანაბრის გახსნა - 100 დოლარია.
სარგებელი გაიცემა სამ თვეში ერთხელ -
45 პროცენტი (თვეში 15 პროცენტი)
ანაბრების გახსნა შეგიძლიათ "კავკასიის ბანკის" სალაროში
მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი 72, მე-2 სართული.
თქვენი ვალუტა
საიმედო ხელშია!
"კავკასიის ბანკი".

ფირმა «ოპიკო»
ორგანიზაციების და შრომითი კოლექტივების საყურადღებოდ!
თუ თქვენ აწარმოებთ პროდუქციის ექსპორტს ან გყავთ შემკვეთი რუსეთში ფირმა „ოპიკო“ დაგ
მარებათ მაქსიმალური ანაზღაურების მიღებაში მანეთებში ან ვალუტაში.
ფირმა „ოპიკო“ აგრეთვე გთავაზობთ
1. რუსეთში უნაღდო მანეთში — ნაღდი მანეთის გაცემას
2. რუსეთში უნაღდო მანეთში — ნაღდი დოლარის გაცემას
შესაძლებელია თანხების გაცემა საქართველოში
3. დაგეხმარებით კომპანიების გახსნაში დაბეგვრისაგან თავისუფალ ზონებში (აშშ, ირლა
დია, კვიპროსი, გიბრალტარი, ჰონკონგი...).
ფირმა «ოპიკო» ახვლედიანის 8 (ყოფილი [illegible]),
ტელ: 98-80-60, ტელექსი (64) 212901 ELO SU

სხვა გაზეთებიდან

„დიახ, ლავრენტი ბერია მამაჩემია“

ორმოცი წლის დუმილის შემდეგ

წლეულს მას სამოცდაათი შეუსრულდა. პირველი ოცდაათი წლის მანძილზე სერგო ლავრენტის ძე ბერიას უწოდებდნენ. ბოლო ოთხ ათწლეულში კი ის გაურბოდა ჟურნალისტებს, არ აძლევდა ინტერვიუს, უარს ამბობდა დასავლელ გამომცემელთა სახარბიელო წინადადებებზე, არავის სიტყვასაც არ ეუბნებოდა არც მამამისზე და არც საკუთარ თავზე. არაფერს წერილობით არ უარყოფდა და თავს არიდებდა წარსულთან კამათს. როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ მას ადამიანთა ძალზე ვიწრო წრე იცნობდა.

და მაშინაც, როცა სხვა გვარით ცხოვრობდა, ისევე როგორც მანამდეც, ნიადაგ თავდადებით მუშაობდა. მას, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, სარაკეტო-კოსმოსური სისტემების მთავარ კონსტრუქტორს, თავის დროზე ატომური ბომბის გამოცდისა და წყალბადის ბომბის შექმნის მონაწილეს, ნაპატიმრალსა და გადასახლებაგამოვლილს, უმაღლეს სამეცნიერო წრეებში იცნობდნენ არა როგორც „ბერიას ვაჟს“, არამედ როგორც დიდ მეცნიერს, კონსტრუქტორს, რომელიც წარმატებით იღვწოდა ქვეყნის თავდაცვისათვის.

სერგო ბერიას უჩვეულო ბედი ერგო. დიახ, მშობლებს არ ირჩევენ. თანაც ის არ აპირებს ბრალმდებლის პოზა მიიღოს, ანდა ადვოკატის მანტიაში გაეხვიოს. მას ბევრი რამ ახსოვს, ბევრიც იცის. და, საკუთარი ცხოვრება აქვს. ჩვიდმეტი წლისა, გუშინდელი მოსწავლე, სადაზვერვო ჯგუფის რადისტი ხდება, ოცდარვა წლისა — სრულიად საიდუმლო საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი და ინჟინერ-პოლკოვნიკი, მეცნიერების დოქტორი, ოცდაათისა — ლეფორტოვოს ტუსაღი. დღეს, სამოცდაათი წლისა, იგი აღსავსეა მეცნიერული იდეებით, სიცოცხლის ტრფიალით, მომავლის რწმენით.

ინტერვიუ, რომელიც მან მოგვცა, წერტილს უსვამს მის ორმოცწლიან დუმილს.

ახლა რა სახელით მოგმართოთ?

— სერგო ლავრენტის ძე ბერია — ეს სახელი, მამის სახელი და გვარი, თქვენთვის, ალბათ, უკვე უჩვეულოდ, ახლებურად ჟღერს. ბოლო ორმოცი წელიწადი სერგო ალექსის ძე გეგეჭკორი ხართ.

— საქმე ის არის, რომ ეს სახელი მე არ მიწოდებია ჩემი თავისთვის. 1952 წელს მამაჩემის დაპატიმრებისა და ჩემი წლინახევრიანი პატიმრობის შემდეგ მომცეს პასპორტი ახალი მამის სახელითა და გვარით, რათა, როგორც მარწმუნებდნენ, სახალხო რისხვა აეცილებინათ ჩემთვის. ახლო მეგობრებმა, თანამშრომლებმა ყოველთვის იცოდნენ, ვინა ვარ და, უბრალოდ, სერგოს მეძახდნენ. ხოლო, როცა სახელმწიფო უშიშროების მუშაკებს ვეკითხებოდი, რა მოხდება პასპორტი რომ „დავკარგო“ და ჩემ ძველ სახელზე ახალი მოვითხოვო-მეთქი, ისინი სიცილით მიპასუხებდნენ — საბჭოთა კავშირის ნებისმიერ ადგილზე დოკუმენტებს მხოლოდ სერგო ალექსის ძე გეგეჭკორის სახელზე მოგცემენო. მე კი მუდამ იმაზე ვფიქრობდი, რომ ჩემი ნამდვილი მამის სახელი და გვარი დამებრუნებინა.

— ჩვენ როგორღა მოგმართოთ?

— თუ ინებებთ — სერგო იყოს.

— გეგეჭკორი საიდანღა გაჩნდა?

— ეს დედაჩემის — ნინო თეიმურაზის ასულის გვარია. ის დაიბადა 1905 წელს, ქართველ აზნაურთა საკმაოდ ღარიბ ოჯახში. მამა ადრე დაკარგა. ბიძასთან იზრდებოდა. ისე კი, ერთი ბიძა ბოლშევიკი ჰყავდა, მეორე — მენშევიკი, 20-იან წლებში საქართველოს მენშევიკური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი. მამაც ოციანი წლების დამდეგს გაიცნო. დედას საჭმელი მიჰქონდა ხოლმე ქუთაისის ციხეში, ბიძამისთან, ბოლშევიკ საშა გეგეჭკორთან. იმ დროს მამაც იქ იჯდა. სწორედ საშამ გააცნო ისინი ერთმანეთს. უკვე მერე, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მამა ბაქოდან ჩამოვიდა და დედას ცოლად გაყოლა სთხოვა. მაშინ დედა 16-17 წლის გოგონა იყო.

— და-ძმა თუ გყავთ?

— მე ჩემი დედ-მამის ერთადერთი შვილი ვარ. მაგრამ, ერთხელ, მამამ გამაცნო პატარა სიმპათიური გოგონა და მითხრა, შენი და არისო. „ამას გეუბნები როგორც მოწიფულ კაცს, — თქვა მან, — ცხოვრებაში ყველაფერი ხდება...“.

— თქვენი და ახლა მოსკოვში ცხოვრობს?

— როგორც ვიცი, იქ არის. ის არასოდეს აღარ მინახავს. სამწუხაროდ. მაგრამ, როცა კი შესაძლებლობა მომცემია, ყოველთვის დავინტერესებულვარ მისი ბედით. ვიცი, რომ ის ცოლად გაჰყვა პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის, პოლიტბიუროს წევრის გრიშინის ვაჟს. რამდენიმე წლის წინათ ისინი, მგონი, გაიყარნენ.

— დედამ იცოდა ამ გოგონას არსებობა?

— არა.

— ვინ მონაწილეობდა თქვენს ოჯახურ აღზრდაში?

— დედაც და მამაც. ის დიდ დროს უთმობდა როგორც ჩემს ფიზიკურ, ისე ინტელექტუალურ აღზრდას. მშობლების წყალობით დავეუფლე ორ ენას — გერმანულს და ინგლისურს.

— მოსკოვის განსაკუთრებული „სამთავრობო“ სკოლა დაამთავრეთ?

— როგორ გითხრათ... კაცმა რომ თქვას, მისი მთავარი განსაკუთრებულობა ის იყო, რომ 37-38 წლებში ბევრი ჩემი თანასკოლელი უმშობლოდ დარჩა.

— კრემლში ცხოვრობდით?

— არა, კაჩალოვის ქუჩისა და სადოვაიას კუთხეში, ცალკე სახლში.

— როგორ წარიმართა თქვენი ბედი სკოლის დამთავრების შემდეგ?

— სკოლა 41-ში დავამთავრე.

...აქვე შევნიშნავთ — გამოვტოვეთ ჩვენი საუბრის ნაწილი სერგოს დამოკიდებულებაზე მამამისის მოღვაწეობისა და „არასამსახურებრივი ცხოვრების“ შესახებ. მას არ სურს გაამართლოს იგი და არც ის მიაჩნია, რომ უფლება აქვს ბრალი დასდოს მამას. მას კარგი მოგონებები შემორჩა მასზე, როგორც მამაზე და იოტისოდენა სურვილიც არ გააჩნია შეასრულოს პავლიკ მოროზოვის როლი. ეს მისი უფლებაა. ასევე ჩვენი უფლებაა სრულიად უცვლელად დავტოვოთ ჩვენი შეხედულება იმაზე, თუ როგორ ცხოვრობდა და რას აკეთებდა ლ. პ. ბერია.

„მე საიდუმლოდ ვუსმენდი რუზველტს“

— მაშ, ასე, 41-ის ნოემბერში თქვენ 17 წლისა გახდით...

— დიახ, ოღონდ მანამდე, ვიდრე გიამბობდეთ მერე რა მოხდა, მინდა ვთქვა, რომ ჩვენი ოჯახისთვის და, დარწმუნებული ვარ, ქვეყნისთვისაც, ომის დაწყება ისეთი მოულოდნელობა არ ყოფილა, როგორადაც სახავენ ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწენი და ისტორიკოსები. მაგრამ ეს სხვაა...

...მოხალისედ ჩავეწერე. რადგან რადიომოყვარული ვიყავი (პირველი კლასის რადისტი) და გერმანულიც ვიცოდი, სადაზვერვო სკოლა დავამთავრე, ლეიტენანტის წოდება მივიღე და უკვე 41-ის ზამთარში ვემზადებოდი პირველი დავალების შესასრულებლად — ჩვენი სამეული (ჩემს გარდა ორი გერმანელი რადიოკონსტრუქტორი) უნდა გადაესროლათ პენემიუნდეს რაიონში, სადაც, დაზვერვის მონაცემებით, მდებარეობდა ფონ ბრაუნის ცენტრი, რომელიც უკვე მაშინ ბალისტიკურ რაკეტებზე მუშაობდა. პირველი ცდა არ გამოვიდა. მეორე ცდაზეც უკან დაგვაბრუნეს — გამოირკვა, რომ გადასხდომის ადგილზე ჩავარდა საიდუმლო შეხვედრის ადგილები. მაშინ ირანში გადაგვისროლეს, რათა შემდეგ თურქეთიდან შევეგზავნეთ გერმანიაში. მხოლოდ ერთმა ჩვენგანმა, გერმანელმა ანტიფაშისტმა მიაღწია მიზანს, მოხვდა იმ ცენტრში, სადაც შემდგომში ცნობილ „ფაუ-1-ს“ და „ფაუ-2-ს“ აკეთებდნენ. მე არ შემიძლია მისი გვარის გამხელა, ომის შემდეგ ის ფონ ბრაუნის ჯგუფთან ერთად უკვე ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხვდა...

— თქვენ?

— ჩვენ ირანში დავრჩით და იქ ვმუშაობდით.

— რას აკეთებდით?

— უშუალოდ ჩემი სამუშაო იყო ინფორმაციის გაშიფვრა და ცენტრში გადაცემა. ჯგუფი კი ქვეყანაში მოქმედ გერმანელთა აგენტურას ებრძოდა. შეგროვებულმა მონაცემებმა შემდგომში დიდი სარგებლობა მოგვიტანა.

— როდის?

— თეირანის კონფერენციის დროს. 42-ში კავშირგაბმულობის აკადემიის ლოკაციის ფაკულტეტზე ჩამრიცხეს. 43-ში გენშტაბის მითითებით მოსკოვში გამომიძახეს და ჯგუფთან ერთად, ბაქოს გავლით, თეირანში ჩაგვიყვანეს. იქ მითითებებს გვაძლევდა სტალინი, პირადად, თითოეულს ცალ-ცალკე. როცა მასთან გამომიძახეს, მან მითხრა, რომ ახსოვს ჩემი ინგლისურის ცოდნა და, ამიტომ, ჩემი პირადი ამოცანაა ყოველ საათსა და ყოველ წუთს მოვისმინო ყველაფერი, რაზეც ლაპარაკობენ რუზველტისათვის მიჩენილ აპარტამენტებში. „შენ გესმის, — მითხრა მან — რომ ეს დელიკატური საქმეა. ამიტომ ვარჩევ ხალხს, ვისაც პირადად კარგად ვიცნობ. უნდა ჩაიწერო ყველაფერი — აპარატურა უკვე დაყენებულია — თარგმნო და მომახსენო მხოლოდ მე“.

— და თქვენ მოახსენებდით?

— დიახ. ისევე როგორც სხვები, ვინც ასეთი დავალება მიიღო. ყოველდღე, დილის 6 საათსა და 30 წუთზე, სტალინთან ვიყავი. როგორც წესი, პირისპირ ვსაუბრობდით. ის მეკითხებოდა ყველა წვრილმანს, რუზველტის ინტონაციებიც, სიტყვებს შორის პაუზებიც კი აინტერესებდა. იგი ყოველთვის ძალზე ზედმიწევნით ემზადებოდა რუზველტთან და ჩერჩილთან მოლაპარაკების ყოველი რაუნდისათვის, დიდ წინასწარ სამუშაოს ასრულებდა მოკავშირეებთან შეხვედრამდე. მისი მაგიდა მუდამ სავსე იყო საქაღალდეებითა და მასალებით.

— თეირანში მამას თუ ხვდებოდით?

— თავდაპირველად არც კი ვიცოდი, რომ ისიც იქ იყო, სტალინთან. მერე, ამოცანის შესრულების შემდეგ, ყველანი შინ დავბრუნდით და მე სწავლა განვაგრძე.

— როგორ შეხვდა ოჯახი თქვენს მოხალისედ წასვლას არმიაში, შემდეგ კი ოპერაციებში მონაწილეობას?

— გაგებით შეხვდნენ მამაც და დედაც. აქვე ვიტყვი, რომ ჩემს მოქმედებებში მამა არ მეხმარებოდა. ზოგჯერ შინ ამის შესახებ დაგვიანებით გებულობდნენ ან თვითონ ჩემგან, ანდა მამის საინფორმაციო არხებით. მაგრამ არასოდეს არ მფარველობდნენ და არ ცდილობდნენ გადაეთქმევინებინათ რაიმე...

...დიდი სამამულო ომი. და მაინც, რაც უნდა ვთქვათ, დიადი განსაცდელის ჟამი თავის დიად ზნეობრივ ნორმებს წარმოშობს. ჩვენი ქვეყნის ყოველმა მეხუთე ოჯახმა იწვნია სამგლოვიარო ცნობის სიმწარე. მათ განზე არ დაუტოვებიათ არც სტალინის, მიქოიანის, ხრუშჩოვის ოჯახები... და მრავალი სხვა, თავისი მაღალი უფლებით თუ უუფლებობით რომ ძალუძდათ დაეცვათ თავიანთი ვაჟები ტყვიისა და ტყვეობისგან, დაემალათ ღრმა ზურგში. ჯავშანი მიეცათ ან თეთრი ბილეთი. დიდი სამამულო... ჩვენი ადამიანების უდიდესი უმრავლესობისთვის — პატიოსნების ჟამია.

„არტილერისტებო, სტალინმა გასცა ბრძანება...“

— რაკი შევეხეთ თემას „სტალინი“, ხომ არ გვეტყოდით, რა დამოკიდებულება იყო მის მიმართ თქვენს ოჯახში? და როგორი გრძნობა გქონდათ მის მიმართ პირადად თქვენ?

— ოჯახში, ყოველ შემთხვევაში, იმ დროს, სტალინს აღმერთებდნენ. და ეს ატმოსფერო, ეს მოზარდის, ჭაბუკის გრძნობა ჩემშიც იყო. მაშინ მე მას ვეთაყვანებოდი, მაგრამ დრო გადიოდა. ვიზრდებოდი. და იმის კვალობაზე, რაც უფრო მეტს ვგებულობდი მის შესახებ, ქვეყნის ცხოვრებაზე, თაყვანისცემის ეს გრძნობა თანდათან იცვლებოდა გაუგებრობით, შემდეგ კი მიუღებლობით. დიახ, სტალინი — დიდი პიროვნებაა, იმდენადვე დიდი, რამდენადაც სასტიკი, დაუნდობელი. დღესაც ჩემში სტალინის სახე თითქოსდა გაორებულია — ერთი მხრივ თავისებურად ჭკვიანი, მასშტაბურად მოაზროვნე ადამიანი. მეორე მხრივ — შურისმგებელი, წვრილმანი და უკიდურესად სასტიკი, ძალაუფლების მოყვარული კაცი.

— ახლოს იცნობდით სტალინს. როდის გაიცანით?

— დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ 1936 წელს, როცა პატარა ბიჭი ვიყავი. ის თბილისში გვესტუმრა. კარგად მახსოვს ეს შეხვედრა. სტალინმა თქვა, რომ ჩემი ხნის ქალიშვილი ჰყავდა და შეგვპირდა ჩემს შვილებს თბილისში გამოვგზავნიო. და მართლაც, რამდენიმე თვის შემდეგ სამივე ჩამოვიდა — უფროსი იაშა (ის დედაჩემის ხნისა იყო), ვასილი და სვეტლანა. მე მგონი, ის ჩემზე ერთი წლით უმცროსია... სწორედ მაშინ გავიცანი ისინი.

შემდგომში, მოსკოვში, მე და სვეტლანა ერთ სკოლაში ვსწავლობდით, დავმეგობრდით. სხვათა შორის, სწორედ მან გამაცნო ჩემი მომავალი მეუღლე.

— როგორები იყვნენ, თქვენი შეხედულებით, ისინი, სტალინის შვილები?

— ჩვენს ოჯახში სვეტლანა უყვარდათ. მაშინ ის მიზანსწრაფული ადამიანი იყო, ჭკვიანი, თავმდაბალი, პატიოსანი. ახლა, მერწმუნეთ, მეცოდება იგი. მე მგონია, მან არა მარტო მამას უღალატა, არამედ საკუთარ თავსაც. გამორჩენისთვის გააკეთა ეს, თუ სხვა რამ მიზეზით... არავინ იცის. როცა ჩამოვიდა, დაგვირეკა მე და დედას, შეხვედრა უნდოდა, მაგრამ... ვურჩიეთ, რომ არ ღირდა.

იაკობი ძალზე თავისებური კაცი იყო, მტკიცე, ნებისყოფიანი, დინჯი, ერთგვარად გამოირჩეოდა სტალინის შვილებში. ყოველივე გარემომცველის შესახებ მას საკუთარი თვალსაზრისი ჰქონდა. ზედმიწევნით ზუსტად ვიცი: ის პარტიაში არ შედიოდა მხოლოდ მისთვის ცნობილი პრინციპული მიზეზების გამო. მას ყველა პოლიტიკური რეპრესია უსამართლოდ, არასწორად მიაჩნდა, ხოლო რეჟიმი — მთავარ მიზეზად ყველაფრისა, რაც კი ხდებოდა. პარტიაში მაშინ შევიდა, როცა სამხედრო აკადემიაში სწავლობდა და მხოლოდ მამის მხრივ დიდი იძულების შედეგად. როგორც მახსოვს, სვეტლანასაგან გავიგე, რომ მათ ოჯახში კინაღამ სკანდალი მოხდა ამის გამო. სტალინი იაკობს ეუბნებოდა, რომ მას შეუძლია ნებისმიერი რწმენა ჰქონდეს, მაგრამ რაკი მამამისი პარტიის გენერალური მდივანია, შვილის პარტიის რიგებს გარეთ ყოფნა აშკარა დემონსტრაციაა და ის, სტალინი, ამას არ დაუშვებს.

იაკობს სტალინისაგან გამოჰყვა ხასიათის სიმტკიცე და ნებისყოფა. ცნობილია, რომ ჰიტლერელთა ტყვეობაში ვაჟკაცურად დაიღუპა, არ უღალატა სამშობლოს. ვიცი, რომ ის ბოლო დღეებში იმ ციხის ცალკე საკანში იჯდა, სადაც ერნსტ ტელმანი და ბელგიის მეფეც იმყოფებოდნენ. წაკითხული მაქვს მეფის წერილები, საიდანაც ჩანს, თუ როგორი მამაცი და კეთილშობილი ადამიანი იყო იაკობი.

— თუ იცით, როგორ განიცადა სტალინმა იაკობის სიკვდილი? ჩვენ ხომ მხოლოდ ერთი ფრაზა ვიცით, დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილი: „ოფიცერს ფელდმარშალზე არ სცვლიან“.

— მე ისევ და ისევ სვეტლანას ნაამბობი ვიცი. მან მიამბო თუ რა დაემართა სტალინს, როცა იაკობის დაღუპვის ცნობა მიიღო. საშინლად განიცადა, მოიღუშა, მერე კი ქალიშვილს მოუხმო და თითქმის გარიჟრაჟამდე ლაპარაკობდა თავის ვაჟზე...

— რამაც ხელი არ შეუშალა, რომ მოგვიანებით იაკობის ოჯახს გასწორებოდა.

— დიახ, ეს სტალინი იყო.

— ვასილსაც კარგად იცნობდით?

— ვიცნობდი, თუმცა ის ჩემზე ცოტათი უფროსი იყო. ვფიქრობ, იგი ნიჭიერი, გულითადი, მაგრამ ძალზე სუსტი ხასიათის ყმაწვილი იყო. იგი დაღუპა გარემოცვამ, განუკითხაობამ, ოჯახური სითბოს უქონლობამ. მისი აღმზრდელები იყვნენ პროტექციის მაძიებელი გენერლები, მასთან დაახლოვებას არყითა და დროსტარებით რომ ცდილობდნენ. ვასილთან ერთი მოგონება მაკავშირებს. მოხდა ისე, რომ მის გამო იოსებ ბესარიონის ძემ პირველად გამომლანძღა, თანაც მკაცრად. უკვე აკადემიას ვამთავრებდი, როცა სასწრაფოდ მოსკოვში გამომიძახეს. მიმიღო სტალინმა და მითხრა, რომ გადაწყდა ინგლისში სასწავლებლად გაგზავნონ ახალგაზრდების ჯგუფი და მას მე უნდა ვუხელმძღვანელო. ამ დროისათვის უკვე ვიცოდი, თუ რით მთავრდებოდა საზღვარგარეთ ასეთი მოგზაურობანი...

— მაინც, რით მთავრდებოდა?

— არც ერთ ადამიანს არ ვიცნობდი, რომელიც საზღვარგარეთ ყოფნის შემდეგ არ დაეპატიმრებინოთ, ანდა მისთვის ეჭვით არ დაეწყოთ ცქერა — ისინი ამ მომენტიდან პოტენციურ მტრებად ითვლებოდნენ. მოკლედ, უარი განვაცხადე, თუმცა, არც მაინცდამაინც მტკიცედ. მაგრამ, როცა შევიტყვე, რომ ამ ჯგუფში ვასილიც შედიოდა, მაშინ მართლაც რომ შემეშინდა... ჰოდა სტალინმა, როგორც იტყვიან, შავი დღე მაყარა.

— როგორ შეხვდნენ ოჯახში სტალინის სიკვდილს?

— ბოლო ხანებში, ჯერ კიდევ სტალინის სიკვდილამდე, მამა შეშფოთებული იყო მის მიმართ დამოკიდებულების შეცვლით. ის ხედავდა, რომ სტალინთან მის ურთიერთობაში ბზარი გაჩნდა და იგი სულ უფრო ფართოვდებოდა. მახსოვს, ერთხელ, ჯერ კიდევ სტალინის სიცოცხლეში, ის შინ მოვიდა და დედას უთხრა: „შემდეგი მე ვარ...“ დაპატიმრებას გულისხმობდა. სტალინის სიკვდილი?.. მეც, დედაც და მამაც, ამ ამბავმა, რომ იტყვიან, დაგვრთგუნა, განსაკუთრებით — დედა... მოვისმინე, როცა ერთ დღეს მამაჩემს უთხრა: „ლავრენტი, რაგინდ თავი დაიმშვიდო, შენი დრო დამთავრდა. შენ სტალინის წყალობით გიტანდნენ, ახლა კი ყველაფერი მორჩა“.

...ვიღაცას ადრე აეხილა თვალი. ზოგს დიდი ხანი დასჭირდა, რომ რაიმე დაენახა. მავანი დღემდე ვერაფერს მიმხვდარა. ერთი სტალინის სახელით იღუპებოდა ბრძოლაში, მეორე განაჩენზე დადებული სტალინის რეზოლუციით. ძნელია ვინმეს ბრალი დასდო და არც არის საჭირო. ისღა გვრჩება, რომ გავუგოთ, ვუთანაგრძნოთ, სინანული გამოვხატოთ. სტალინის სადიდებელს მღეროდნენ არა მარტო მუუდრო სუფრაზე, არამედ ზოგჯერ გულაგის გაყინულ ბარაკებშიც, ასე იყო. ისტორია ზოგიერთს თვალს უხელს, ზოგს კი სამუდამოდ უხუჭავს.

ვიღაცა კი ორთქლმავლის წინ მირბოდა

— სერგო, თქვენმა ცხოვრებამ ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებაში მყოფ ადამიანთა გვერდით გაიარა — თქვენს დროს მათი რამდენიმე თაობა შეიცვალა. როგორი აზრი დაგრჩათ იმ ადამიანებზე, რომლებიც სხვა ადამიანთა, ქვეყნის ბედიღბალს წყვეტდნენ?

— თუ ნებას მომცემთ, დავიწყებდი სისტემიდან, რომელსაც ისინი წარმოადგენდნენ და რომელშიც მოქმედებდნენ. მე, ახალგაზრდა კაცს, აღფრთოვანებული დამოკიდებულება მქონდა კომკავშირის, პარტიის, მისი ხელმძღვანელობისადმი. თანდათანობით, ინფორმაციის დაგროვების, მოწიფულობის, მომხდარის გაგების კვალობაზე, განსაკუთრებით ომის შემდეგ, ბევრ რამეზე თვალსაზრისი შემეცვალა. მერე იმ დასკვნამდე მივედი, რომ იმ სისტემაში უწესიერეს კაცსაც კი არ შეეძლო შეენარჩუნებინა თავისი წესიერება. ამას მხოლოდ ერთეულები ახერხებდნენ. თითოეული, არსებითად, იძულებული იყო, როგორც ვლადიმერ ვისოცკიმ თქვა, ღრმად დახრამული გზით ევლო. ემოქმედა ამ სისტემის წესებითა და კანონებით. იძულებული იყო, მაგრამ ისეთებიც იყვნენ — მე ასეთებს შევხვედრივარ — რომლებიც ორთქლმავლის წინაც კი მირბოდნენ და მის გასწრებას ლამობდნენ. ისინი სტრუქტურების, გარკვეული ადამიანების წინაშე მლიქვნელობით ცდილობდნენ ნდობის მოპოვებას და ა. შ.

იმათ, ვისაც ბედ-იღბალი მახვედრებდა, ნიადაგ ვყოფდი ოპრიჩნიკებად და იმ ადამიანებად, რომლებიც ცდილობდნენ ეცხოვრათ სინდისიერად, რამენაირად შეერბილებინათ სიტუაცია და ერთგვარად წინააღმდეგობა გაეწიათ სისტემისათვის.

— მაგრამ ხვდებოდნენ, რომელ სისტემაში არსებობდნენ? თუ ქვეცნობიერად მოქმედებდნენ?

— თუ იმათ შესახებ ვიმსჯელებთ, ვისაც მე ვიცნობდი, ყველა და ყველაფერი მათ კარგად ესმოდათ. ამაში დარწმუნებული ვარ. და აი, ისინი, ვინც მუშაობდნენ მეცნიერებაში, მრეწველობაში, იმათზე უფრო პატიოსანი და გაბედული იყვნენ, ვინც „წმინდა“ პოლიტიკით სულდგმულობდნენ. პირველთა შორის დავასახელებდი ვანიკოვს, ხრუნიჩევს, ახალგაზრდებს — ბაიბაკოვს, ტუპოლევს, უსტინოვს. უკვე აღარას ვამბობ კოროლიოვზე, კურჩატოვზე, კაპიცასა და სხვებზე მათ რიგში (მადლობა ჩემს ბედს, რომელმაც ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე შემახვედრა ისინი). ასეთი ტიპის ადამიანები პარტოკრატიის წინააღმდეგ იყვნენ, რამდენიც შეეძლოთ ეწინააღმდეგებოდნენ პარტიული ორგანოების უპასუხისმგებლო ჩარევას. მაგრამ ისინიც აშკარა ოპოზიციაში ვერ გამოდიოდნენ. ათწლეულების გამოცდილება გვიჩვენებდა, თუ რით თავდებოდა ეს ყოველივე.

მაგრამ სხვებიც იყვნენ — ვინც ბელადს თვალებში შესციცინებდნენ — მალენკოვი, კაგანოვიჩი, მიქოიანი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, ჟდანოვი...

ჟდანოვი... პოლიტიკურ რეპრესიებთან, პოლიტიკური დიქტატის გამკაცრებასთან დაკავშირებულ ყველა საქმეში, ის, ჩემი აზრით, ძირითადი და ყველაზე ავბედითი პიროვნება იყო. გამიგეთ და მერწმუნეთ, ყველაზე ნაკლებად მსურს, სტალინის „წმინდანად“ გამოცხადება, მაგრამ მიმაჩნია, რომ ახლა ყველაფერი მხოლოდ მას გადავაბრალოთ, როგორც ერთპიროვნულ დიქტატორს, ისტორიულად სწორი არ არის. სინამდვილეში კი იყო „გუნდი“ და გარკვეულწილად მას ანგარიში უნდა გაეწია მისთვის.

დანარჩენები... ისინი შეფასებულია. „კომუნიზმის გენიალური შემოქმედი“ — პირველად ეს მიქოიანმა გამოიგონა, მერე კი თითოეული, როგორც ეს ჩვენში მიღებული იყო მაშინაც, და, სამწუხაროდ, მოგვიანებითაც, ცდილობდა წინამორბედისთვის ეჯობნა არა მარტო ხოტბის შესხმით, არამედ წამოწყებებითაც, თაოსნობითაც, საქმეებითაც, ზოგჯერ არა მარტო უკანონო, არამედ დანაშაულებრივი საქმეებითაც.

...ფერი-ფერსა, მადლი ღმერთსაო — ყველასთვის ცნობილია ასეთი გამოთქმა. მხოლოდ ორ ციტატას მოვიყვანთ. პირველი — ამერიკელი მწერლის რობერტ ტაკერის წიგნიდან „სტალინი, გზა ხელისუფლებისაკენ“, — „სტალინმა ბერიაში ყურადღება მიაქცია არა მარტო იმას, რომ ის სასარგებლო იქნებოდა, როგორც „კარგი კაცი“. ბერია გრძნობდა, რომ სტალინი საჭიროებდა აღტაცებას და მისი კეთილგანწყობა მოიპოვა მლიქვნელობით, რის ხელოვნებასაც ის ჩინებულად ფლობდა“. და მეორე. ეს უკვე ნიკიტა ხრუშჩოვის ნათქვამია: „მაშინაც კი, როცა ბევრი რამ გავიგეთ ბერიას გასამართლების შემდეგ, პარტიასა და ხალხს არასწორი განმარტება მივეცით და ყველაფერი ბერიას შევაწმინდეთ. ჩვენ ის ხელსაყრელ პიროვნებად მივიჩნიეთ და ყველაფერი ვიღონეთ, რომ სტალინის სახელი გადაგვერჩინა...“ „სტალინის გუნდი“. ღმერთმა ნუ ქნას, მისი მსგავსი კვლავ გაჩნდეს!

ატომური სოკოს ქვეშ

— სერგო, თქვენ გიმუშავიათ ბევრ გამოჩენილ მეცნიერთან, კონსტრუქტორთან ერთად. ზოგიერთი მათგანი დაასახელეთ კიდეც...

— დიახ, დიდი მადლიერებით მეცნიერებისთვის, ზოგჯერ მეგობრობისთვისაც, ჩემს ბედში მონაწილეობისთვის უკვე მამაჩემისა და ჩემი დაპატიმრების შემდეგ.

— ვინ იყავით 1953 წლის ზაფხულისათვის?

— ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ინჟინერ-პოლკოვნიკი, რაკეტსაწინაღო და ჰაერსაწინაღო სისტემების შექმნის № 1 საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარი კონსტრუქტორი.

— და ვისთან ერთად მუშაობდით?

— სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა თემატიკით — კურჩატოვთან, კოროლიოვთან, შჩელკინთან, არტემ ივანეს ძე მიქოიანთან, ლავოჩკინთან, ტუპოლევთან, მინცთან, ბერგთან. არ ვამბობ, რომ მაშინ იმათ დონეზე ვმუშაობდი-მეთქი, უბრალოდ ვთანამშრომლობდით, ერთ სფეროში ვაკეთებდით საქმეს.

იმ ადამიანებმა, თითქმის უკლებლივ, და კაპიცამ, გადამარჩინეს დაპატიმრების შემდეგ, ციხიდან დამიხსნეს. მათ ოფიციალურად მიმართეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, როცა ცალკე საკანში ვიჯექი, შემდეგ კი გადასახლებაში ვიყავი. თითქმის ყველა იმათგანი სხვადასხვა საბაბით ჩამოვიდა სვერდლოვსკში, სადაც ვცხოვრობდი და ვმუშაობდი, მხვდებოდნენ, მთავაზობდნენ დახმარებას მუშაობაში, — მატერიალურ დახმარებასაც — ამ უკანასკნელით არასოდეს გვისარგებლია. ამ მხარდაჭერის მეოხებით დავუბრუნდი საქმეს, რასაც მთელი სიცოცხლე შევალიე.

— როგორ მოხვდით ატომური და სარაკეტო ტექნიკის შემქმნელთა შორის?

— 1947 წელს, აკადემიის დამთავრების შემდეგ, სინამდვილეში, უფრო ადრეც, შევუდექი მუშაობას ფრთიანი გემსაწინაღო და ჰაერსაწინაღო რაკეტის მართვის სისტემისა და თვით რაკეტის პროექტის შესაქმნელად. ჩანაფიქრით, ის შეიძლება ატომის ან წყალბადის მუხტის მატარებელი გამხდარიყო. სწორედ ამ გზაჯვარედინზე გადაიკვეთა მეატომეთა და ჩემი გზები.

— ამით იყავით დასაქმებული შემდეგ თქვენს — I საკონსტრუქტორო ბიუროში?

— ამითაც. 1951 წლის დამლევს ვმუშაობდით მოსკოვის საზენიტო დაცვის პირველი რგოლის შექმნისათვის. საინტერესო იყო მისი გამოცდა. სტალინმა მოისურვა სისტემის საიმედოობაში დარწმუნებულიყო და დაგვავალა ჰაერში აგვეფრინა 10-12 თვითმფრინავი, მფრინავების კატაპულტირების შემდეგ რაკეტების მოქმედების სიზუსტე უნდა შეგვემოწმებინა. მახსოვს, გამოცდებს ხელმძღვანელობდნენ მარშლები ჟიგარევი და ვასილევსკი. ჰაერში აფრინდა ექვსი ილ-28 და რვა მიგ-15. მფრინავების კატაპულტირების შემდეგ ყველა მანქანა პირველი და მეორე ზალპით დააზიანეს.

— გვითხარით, თუ შეიძლება, რაიმე კავშირი გაქვთ იმ რაკეტის შექმნასთან, რომელმაც 60-იან წლებში სვერდლოვსკთან ჩამოაგდო ამერიკელთა ჯაშუში თვითმფრინავი, რომელსაც პაუერსი მართავდა?

— უშუალო კავშირი მქონდა. იგი ჩემს საკონსტრუქტორო ბიუროში შეიქმნა, მისი მთავარი კონსტრუქტორი ვიყავი.

— ხელიხელჩაკიდებული თანამშრომლობდით მეატომეებთან, სახაროვსაც იცნობდით?

— ვიცნობდი. იგი ძალზე მოკრძალებული და საზრიანი ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა. მახსოვს, მაშინაც მის წინააღმდეგ ზოგიერთი მეცნიერი ილაშქრებდა. ვფიქრობდი, რომ მის იდეოლოგიურ რწმენას არ იზიარებდნენ.

— რა, მაშინაც დისიდენტურად იქცეოდა?

— ვფიქრობ, იმათ, ვინც მას ახლო იცნობდა, ასეთად ეჩვენებოდათ.

— ზოგჯერ იმისათვის, რომ დაამცირონ ჩვენი ატომური და წყალბადის ბომბების შემქმნელთა დამსახურება, ზოგიერთები იხსენებენ ხოლმე ცოლ-ქმარ როზენბერგებს, ან სხვა მზვერავებს, რომლებმაც ესა თუ ის ცნობები მოიპოვეს...

— ღრმად ვარ დარწმუნებული, რაც უნდა ილაპარაკონ, ჩვენი მეატომეების დამსახურება განუზომლად დიდია.

— დასწრებიხართ ატომური ბომბის გამოცდას?

— დიახ. რამდენჯერმე.

— როგორც ცნობილია, მამათქვენი ხელმძღვანელობდა სპეციალურ კომიტეტს, რომელიც კოორდინაციას უწევდა ატომური იარაღის წარმოებასთან დაკავშირებულ სამრეწველო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების საქმიანობას.

— დიახ, იგი შექმნეს თითქმის მაშინვე, როგორც კი ამერიკელებმა ხიროსიმა და ნაგასაკი დაბომბეს.

— მართალია, რომ მამათქვენის სახლში, ჯერ კიდევ ომამდე, რამდენსამე ხანს, თითქოს ვინმე უცხოელები ცხოვრობდნენ, რომლებიც გულმოდგინედ მალავდნენ თავიანთ ყოფნას სსრ კავშირში?

— დიახ, რამდენადაც მახსოვს, ორნი ცხოვრობდნენ. ერთ მათგანს რობერტი ერქვა. ვერ დავიჩემებ, რომ სწორი ვარ, მაგრამ, როგორც ვერსიად — და არა მარტო სახელების მსგავსებით — შემიძლია ვივარაუდო, რომ ის რობერტ ოპენჰეიმერი იყო.

...მოსკოვის ჰაერსაწინაღო მოგერიების რგოლის შექმნა, უდიდესი სრულიად საიდუმლო უახლესი იარაღის შემუშავებაში, იმ რაკეტის კონსტრუირებაში მონაწილეობა, რომელმაც იმ დროს მიუღწეველი სიმაღლიდან ჯაშუში-თვითმფრინავი ჩამოაგდო, ექვსი ამჟამად მოქმედი სარაკეტო სისტემა... ჩვენს თანამოსაუბრეს ერთი ჯილდოც კი არა აქვს. მათემატიკის მეცნიერების დოქტორის სამეცნიერო ხარისხი „ინჟინერ-პოლკოვნიკის“ სამხედრო წოდებასთან და სტალინურ პრემიასთან ერთად 1953 წელს ჩამოართვეს. სვერდლოვსკში, მრავალი წლის შემდეგ, მეორედ დაიცვა დისერტაცია. დღეს ის ტექნიკის მეცნიერების კანდიდატია. ბოლო ჩანაწერი სამხედრო ბილეთში — „რიგითი“.

მოკლეს დაპატიმრების დროს?

— სერგო, მოდით 1953 წელს დავუბრუნდეთ. ხომ ასე, ზაფხული, 26 ივნისი...

— დიახ, იმ დღეს მამაჩემი უკანასკნელად ვნახე.

— თუ გსურთ — გვიამბეთ.

— კარგით, ის, რასაც გეტყვით — ნაწილობრივ ჩემი ვერსიაა, ნაწილობრივ ის, რისი მოწმეც პირადად ვიყავი, ნაწილობრივად — იმ ადამიანთა სიტყვებია, რომლებიც პირადად იმათგან მოვისმინე.

ჩვენს ოჯახში არსებობდა ტრადიცია: მაგიდას ყველანი შეძლებისამებრ ერთად მივუსხდებოდით ხოლმე. ეს, ალბათ, ის იშვიათი წუთები იყო, როცა შეგვეძლო ერთმანეთი გვენახა, გვესაუბრა აქეთურსა თუ იქეთურზე, ინფორმაცია გაგვეზიარებინა.

იმ დღეს კი აგარაკიდან ადრე წამოვედი, მამა იქ დარჩა. კრემლში მეჩქარებოდა, ვანიკოვს (მაშინ ის გენერალ-პოლკოვნიკი, სოციალისტური შრომის ორგზის გმირი, ატომური და წყალბადის ბომბების შექმნის სამუშაოთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მგონი კომიტეტში მამაჩემის მოადგილეც იყო) უნდა შევხვედროდი. ვანიკოვთან, კურჩატოვსა და სხვებთან ერთად უნდა განგვეხილა — როგორ აგვეფეთქებინა წყალბადის ბომბი (სხვათა შორის, ის ამერიკელებზე ერთი წლით ადრე შევქმენით).

უცბათ ტელეფონთან გამომიძახეს. ყურმილში საბჭოთა კავშირის ორგზის გმირის, მფრინავი-გამომცდელის, რომელსაც მრავალჯერ უფრენია ჩემი მოწყობილობიანი თვითმფრინავებით, სულთან ამეტ-ხანის ხმა მომესმა: „სერგო, — თითქმის ყვირილით მითხრა მან, — თქვენი სახლის რაიონი გარშემორტყმულია ჯარებით, იქ სროლაა. კრემლიდან გამოდი — მანქანას გიგზავნი, შენთვის თვითმფრინავს ვამზადებ...“.

ყველაფერი ვანიკოვს გადავეცი, თვითონ ტელეფონს მივუჯექი. აგარაკი არ პასუხობს. მოსკოვის ბინაც ასევე. სპასკის ჭიშკრისკენ გავიქეცი, მანქანასთან. მასში ისხდნენ ამეტ-ხანი, სერგეი ანოხინი, საბჭოთა კავშირის გმირი, ისიც მფრინავი-გამომცდელი. „წავიდეთ, — მეუბნებიან. — ეტყობა, მამაშენი მოკლეს“. მაშინვე გადავწყვიტე, რომ, როგორც ჩანს, რაღაც გაუგებრობაა, არსადაც არ უნდა გავიქცე, და ვანიკოვთან დავბრუნდი. ის და ჩემი დაბრუნებით გახარებული კურჩატოვი უმალ ტელეფონებს მიუსხდნენ. მალენკოვის ტელეფონი არ პასუხობს. ბოლოს, ვანიკოვმა ხრუშჩოვი მოძებნა: „ასე და ასე, ნიკიტა სერგის ძევ, რა ხდება? აქ, ჩვენთან არის ბერიას შვილი...“ მერე, მე მომიბრუნდა: „ხრუშჩოვმა თქვა, არაფერიც არ მომხდარა. შენზე თქვა, შინ წავიდესო“.

ყველანი გამოვედივართ კრემლიდან: კვლავ მანქანაში ვსხდებით და ჩვენი ბინისაკენ მივეშურებით. სახლის გარშემო ჯარია, ეზოში არ გვიშვებენ. ვანიკოვის დახმარებით შევედით. ვხედავ, სახლის იმ მხარეს, სადაც მამაჩემის ოთახები იყო, კედლებზე ნატყვიარებია, თითქოს მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი ესროლოთ. სარკმლები ჩამსხვრეულა. კარები შეუმტვრევიათ თუ აუფეთქებიათ. უცბათ ერთმა მცველმა მითხრა: „უყურე, სერგო, სახლიდან საკაცით ვიღაცა გამოაქვთ...“ და დავინახე საკაცე, ზედ რაღაცგადაფარებული გვამი. ვერ მოვასწარი მცველისთვის მეკითხა სროლის დროს მამაჩემი აქ თუ იყო-მეთქი! მაგრამ, ვფიქრობ, საკაცეზე შეიძლება ის იწვა.

— სერგო, მოგვიტევე, მაგრამ ეს ვერსია ჩვენ ახლა პირველად მოვისმინეთ. რა, მიგაჩნიათ, რომ ლავრენტი ბერია მაშინვე მოკლეს? მაგრამ თქვენ ხომ გვითხარით, როცა აგარაკიდან წამოვედი, მამა იქ დარჩაო. რაც მთავარია — კარგად არის ცნობილი და დაწვრილებით აღწერილი კრემლში, პოლიტბიუროს სხდომაზე მისი დაპატიმრების ვითარება. გამოქვეყნდა ჟუკოვის, მოსკალენკოს, ბატიცკის, გენერალ ზუბის მოგონებები... მაშ რა გამოდის, მამათქვენი არ გაუსამართლებიათ? დაგვეთანხმეთ, რაღაცგადაფარებული გვამი საკაცეზე — ასეთი ვერსიისათვის ძალზე სუსტი საფუძველია.

— იცით, კატეგორიულად არ შემიძლია ვამტკიცო, მაგრამ კარგა ხნის შემდეგ მიზანდასახულად დავინტერესდი ამ საკითხით, შევხვდი ნიკოლოზ მიხაილოვს, რომელიც სასამართლოს ოფიციალური წევრი იყო. მას კარგად ვიცნობდი ჯერ კიდევ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტიდან. მან მითხრა: „არ მოგატყუებ, მამაშენი სასამართლოზე არ მინახავს: ის კაცი, ვინც „თოჯინას“ (სწორედ ასე თქვა) ანსახიერებდა, — მამაშენი არ იყო. რამდენადაც ცნობილია, ის იმ დღესვე მოკლეს. თუ როგორ მოხდა, არაფერი ვიცი“.

იგივე მითხრა სასამართლოს მეორე წევრმა — ნიკოლოზ შვერნიკმა.

ჟუკოვსაც შევხვდი, თანაც — მისი ინიციატივით. მან მითხრა, რომ იმ მოვლენებთან არაფერი მაკავშირებს და „არც იმ სისულელესთან, რაც დაწერეს, საერთო არა მაქვს რა“.

— შემდეგ, იმ დღეს — 26 ივნისს, მაინც რა მოხდა?

— აგარაკზე გამისტუმრეს, ოჯახში. აგარაკი უკვე გარშემორტყმული იყო. მთელი დაცვა შეეცვალათ. დედა, როცა ჩემი ვარაუდი ვუთხარი, არ ტიროდა, არ მოსთქვამდა. „სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო“, — მხოლოდ ეს თქვა. მერე მე და დედა ერთმანეთს დაგვაცილეს: ის იქვე დარჩა, მე ოჯახიანად სხვა აგარაკზე გადამიყვანეს. ოციოდე დღის შემდეგ ოფიციალურად გამომიცხადეს დაპატიმრებული ხარო. დეკემბრამდე ლეფორტოვოს ციხეში ვყავდით, მერე — ბუტირკაში. მოგვიანებით შევიტყვე, იმავე დროს დედაც იქ იჯდა.

— შემდეგ, ვიცით, რომ სვერდლოვსკში აღმოჩნდით.

— დიახ. როცა გამათავისუფლეს. ეს ქალაქი თვითონ ავირჩიე. იქ ჩვენი ინსტიტუტის ფილიალი იყო. მაგრამ, რამდენიმე წელიწადი გავიდა და აღმოჩნდა, რომ იქაური გადიდებული რადიაციული ფონის გამო დედაჩემის ჯანმრთელობა გაუარესდა. ექიმები დაჟინებით ურჩევდნენ საცხოვრებელი ადგილი გამოეცვალა.

— და მაშინ...

— და მაშინ ხრუშჩოვს მივმართე, და სამართლიანად უნდა აღვნიშნო (საერთოდ მე მის მიმართ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება მაქვს), მან განკარგულება გასცა, დაგვეხმარებოდნენ. მას მერე კიევში ვცხოვრობ და ვმუშაობ.

— ამჟამად ვინა ხართ?

— მუდამ ადმინისტრაციული მოვალეობების წინააღმდეგი ვიყავი. და მხოლოდ აუცილებლობის გამო დღეს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი და მთავარი კონსტრუქტორი გახლავართ.

— როგორც ჩვენთვის ცნობილია, ახლა თქვენ ექვსი მოქმედი სარაკეტო სისტემა გაქვთ?

— დიახ, ისინი ქვეყნის — ყოფილი კავშირის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებენ. კოლექტივმა შექმნა. მე ვმონაწილეობდი, როგორც კონსტრუქტორი. არა მარტო სარაკეტო სისტემებისა, კოსმოსურისაც.

— ძირითადი სამუშაოს გარდა, სხვა რითი საქმიანობთ?

— მთელ დროს ძირითად სამუშაოს ვახმარ. თუმცა, საიდუმლოს გაგიმხელთ — ახლახან დავამთავრე წიგნი და ხელშეკრულება დავდე მისი გამოცემისათვის რუსეთის კონცერნ „სობისთან“. შევეცადე მომეთხრო ჩემს შესახებ, ცხოვრებასა და ოჯახზე. წიგნს დავარქვი „მამაჩემი — ლავრენტი ბერია“.

...და აი, დამთავრდა ჩვენი საუბარი. მაგნიტოფონის კასეტებზე ჩანაწერები მრავალ საგაზეთო გვერდს შეავსებდა. გულდასმით ვარჩევდით ფაქტებსა და ეპიზოდებს, რაღაცა შევამცირეთ, ზოგი რამ გვერდზე გადავდეთ. ყველაფერი, რაც დარჩა, — მკითხველს განსასჯელად წარმოვუდგინეთ. ზოგი დაეთანხმება სერგო ბერიას ნათქვამს. სხვა აღშფოთდება. ვინმე საკუთარ ტკივილს გაიხსენებს. მავანი შეეჭვდება... მაგრამ უეჭველია ერთი — თითოეულს უფლება აქვს თავისებურად გაიაზროს ცხოვრება, საკუთარი თვალით შეხედოს მას, პირადი აზრი ჰქონდეს.

რა თქმა უნდა, მკითხველი შენიშნავს — ამ ინტერვიუში არაფერია ნათქვამი ჩვენი თანამოსაუბრის მამის „ჯაშუშურ ნაკვალევზე“, ლუბიანკის ჯურღმულებსა და რეპრესიებზე. არ დავინტერესებულვართ ლავრენტი ბერიას „ამურული საკითხითაც“... ჩვენ ის კი არ გვაინტერესებდა, არამედ მისი შვილი — სერგო ბერია — ადამიანი, რომელსაც მძიმე ხვედრი არგუნა ბედმა და რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ცდილობდა თავის ქვეყანას გამოსადგომოდა.

იური კაზარინი,
ანატოლი რუსოვსკი.

სურათებზე: სერგო ბერია — 1994 წლის თებერვალი; ოჯახი: მამა, დედა, შვილი — 1946 წელი; კაპიტანი ს. ბერია — 1945 წელი.

ლეონიდ გლაგოლევის ფოტო.
კიევი-მოსკოვი.
„ვეჩერნაია მოსკვა“, 1994 წ. 10 მარტი.

ინფორმაცია

სოხუმიდან, სანქტ-პეტერბურგში

საქინფორმის კორესპონდენტი ბესიკ ფიფია სანქტ-პეტერბურგიდან იუწყება, რომ ჩრდილოეთის ქვეყნების ეკლესიათა საბჭომ ჰუმანური დახმარება გამოუყო აფხაზეთიდან ლტოლვილებს.

აქ აღრიცხულია 1270 კაცი — ქართველები, რუსები, სომხები, უკრაინელები, აფხაზები, სხვა ეროვნებათა მოქალაქენი.

სანქტ-პეტერბურგის მერი ანატოლი სობჩაკი და საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე შეთანხმდნენ, რომ აფხაზეთიდან ლტოლვილები მიიღებენ სანქტ-პეტერბურგში დროებითი ცხოვრების ნებართვას აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგებამდე.

ლტოლვილებს ეხმარებიან ადგილობრივი, წარმოშობით ქართველი ბიზნესმენები.

ვინ რამდენი უღირს ჰოლივუდს?

როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" წერს, დღეს ყველაზე „ძვირი" მსახიობები არიან არნოლდ შვარცენეგერი, სტივენ სიგალი, აგრეთვე ბრიუს უილისი და ტომ კრუზი, რომელთა ჰონორარი თითოეულ ფილმში გადაღებისათვის 15 მილიონი დოლარია. მილიონი დოლარით ჩამოუვარდება მათ კევინ კოსტნერი. სილვესტრ სტალონე და მაიკ დუგლასი კი ლიდერებს 8 მილიონით ჩამორჩებიან.

თითო ფილმში მუშაობისათვის 10-10 მილიონ დოლარს ალპაჩინოსა და ნიკოლსონის გარდა, იღებენ მელ გიბსონი, ჰარისონ ფორდი, ბილ მიორეი და რობერტ რედფორდი.

ჰოლივუდის ყველაზე ძვირი მსახიობი ქალია ჯულია რობერტსი (8,5 მილიონი ერთი ფილმისათვის); „რვა მილიონთა" შორის [illegible] ნორჩი მაკოლეი [illegible] და ვუპი გოლდბ[illegible] ექვს-ექვსი მილიონი [illegible] მსახიობი ქალების მ. [illegible] ფეიფერის, ჯ. ფოსტერის და მეგ რაიანის შემოქმედებითი ნამუშევრები. უმდიდრესთა შორის ყველაზე „ღარიბები" არიან დემი მური და შარონ სტოუნი — „მხოლოდ" 5-5 მილიონი.

6 მილიონი დოლარი მიიღო 10 წუთი ეკრანული დროისათვის ფილმში „ქრისტეფორე კოლუმბი" მარლონ ბრანდომ. ელიზაბეტ ტეილორს 6 მილიონი გადაუხადეს ტელესერიალის „ჩრდილოეთი და სამხრეთის" სცენაში გადაღებისათვის, რომელიც სულ 5 წუთს გრძელდება. მაიკლ დუგლასმა კი, რომელიც ეკრანზე არც გამოჩენილა, „ნისანის" სარეკლამო კლიპის გახმოვანებისათვის 7 მილიონი დოლარი მიიღო.

„იბერიის" ლენტიდან

ჭიათურა. აქ კვლავ შეინიშნება ელექტროენერგიის მკვეთრი უკმარისობა. მოსახლეობას დენს მხოლოდ ღამის საათებში აწვდიან. არ მუშაობს საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმი", არ სრულდება საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება, რომლის შესაბამისად ამ საწარმოს უნდა მიაწოდონ 15 მეგავატი ელექტროენერგია. თუ მდგომარეობა არ გამოსწორდა, „ჭიათურმანგანუმის" კოლექტივი ორშაბათიდან გაფიცვის დაწყებას აპირებს.

საგარეჯო. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურიდან გვაცნობეს, რომ საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდაში აღმოაჩინეს კუსტარული ნავთობსახდელი, რომელიც ამ სოფლის მკვიდრს კობა ჯანდიაშვილს ეკუთვნოდა.

ნავთობსახდელი ლიკვიდირებულია და მიმდინარეობს გამოძიება.

ცხინვალი. „ცხინვალის რაიონის" სოფელ ძიხევში დაბრუნდა 20-მდე ოსი ეროვნების მოსახლე, რომლებიც რამდენიმე თვის განმავლობაში ჩრდილოეთ ოსეთში იმყოფებოდნენ. ძიხევის საკრებულოს ხელმძღვანელობა დაეხმარება მათ სოფლად დამკვიდრებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარანტირებული იქნება სოფლის ქართველი მოსახლეობის ხელშეუხებლობა.

რატომ დაყოვნდა პრივატიზაცია თბილისში?

აქტუალური ინტერვიუ

რესპუბლიკის დედაქალაქში დღეისათვის პრივატიზებულია სამასამდე ობიექტი. ამავე დროს, პატრონი ვერ გამოუჩნდა ყოველ მეოთხე, საამისოდ განკუთვნილ საწარმოსა თუ დაწესებულებას. თანაც, წლევანდელი წლის დამდეგიდან პრივატიზებულია მხოლოდ ცამეტი ობიექტი.

— ამას სხვადასხვა მიზეზი აქვს, — განმარტავს თბილისის სახელმწიფო ქონების მთავარი სამმართველოს უფროსი გურამ დიდბარიძე. — კერძოდ, დღემდე არ არსებობს სათანადო ნორმატიული ბაზა. მაღალ ინსტანციებში არ განუსაზღვრავთ პრივატიზაციის განვითარების სტრატეგია და მიმართულებანი. ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი, მეთაურის ფუნქციის დაკარგვის შიშით, ყოველნაირად უშლის ხელს ნორმალური ბიზნესისა და მეწარმეობის პირობების შექმნას, მუშაკებს ვითომდა მასობრივი დათხოვნებით აშინებს.

— როგორღა არის სამრეწველო საწარმოთა აქციონირების საქმე?

— უნდა მომხდარიყო დაახლოებით 250 საწარმოს აქციონირება. მაგრამ მხოლოდ 60 საწარმომ წარმოადგინა ამისათვის საჭირო დოკუმენტები, ჯერაც არ გამოუგზავნიათ საჭირო დოკუმენტები „ფოლადთუჯსამსხმელო" ქარხნიდან, სამშენებლო ინდუსტრიის, რიგი სხვა ობიექტებიდან. ვაპირებთ დავსვათ ასეთ საწარმოთა ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი.

— სიტყვამ მოიტანა და, როდის არის გათვალისწინებული მოქალაქეებისათვის ვაუჩერების გაცემა?

— ისინი იბეჭდება საფრანგეთში. ბოლო ინფორმაციის თანახმად, საჭირო სახსრების გამოძებნისთანავე, ვაუჩერები მზად იქნება ორი თვის შემდეგ. მათ მიიღებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 1992 წლის პირველ სექტემბრამდე არიან დაბადებული.

— ზოგი სკეპტიკურად აფასებს პრივატიზაციის სარგებლობას, ზოგის აზრით, იგი ლამის ეკონომიკის ყველა უბედურებისაგან ხსნის პანაცეაა...

— პრივატიზაციის შესაძლებლობებს უფრო სალად და რეალისტურად ვაფასებ, თუმცა, იგი პანაცეად არ მიმაჩნია. მაგალითად, მოსკოვში ჯერჯერობით პრივატიზებული ობიექტების მხოლოდ 40 პროცენტმა გააუმჯობესა მუშაობა, ოცდაათი პროცენტი კი საერთოდ გაკოტრდა. აქ მთავარია გზა გაეხსნას მზრუნველ მეპატრონეს, მიეცეს შანსი ნიჭიერ მეწარმეს.

თავდაპირველად საწარმოს მფლობელი შეიძლებოდა გამხდარიყო მხოლოდ მდიდარი კაცი. მაგრამ ამ შესაძლებლობას მოკლებული იყო უფრო განათლებული, პერსპექტიული იდეებით აღსავსე, მაგრამ ხელმოკლე ადამიანი. ამიტომ არის, რომ ახლა მიმდინარეობს საპრივატიზაციო ობიექტების მომავალი მოწყობისა და საქმიანობის პროექტების თავისებური კონკურსი. მაგრამ პრივატიზაცია შედეგიანად რომ გაგრძელდეს, უწინარესად, უნდა შეიქმნას საკანონმდებლო ბაზა, სერიოზული ცვლილებები სჭირდება მოქმედ დოკუმენტებს.

დროა განისაზღვროს ის სტრატეგიული ობიექტები, რომლებიც არ ექვემდებარება პრივატიზაციას, დახურულია საზღვარგარეთის ინვესტიციებისათვის. საიმედო დაბრკოლება უნდა აღიმართოს ფარული პრივატიზაციის, რეკეტიორების გზაზე. უფრო სწრაფად უნდა გაიმიჯნოს რესპუბლიკური და მუნიციპალური საკუთრება.

ზურაბ გრძელიშვილი,
საქინფორმის კორ.

• • •

სურათზე: სანამ სერიოზული ხალხი პრივატიზაციის პრობლემებზე ლაპარაკობს, დედაქალაქის მთავარი პროსპექტების „დეპრივატიზაცია" ჭიანურდება: „ჯიხურების ქალაქის" ეს რიგითი მეტრო „რუსთაველის" ჩასასვლელთან გუშინ გადაიღო ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა თედო ნიკოლაიშვილმა.

ეს რეპლიკა შეიძლება ინტერვიუს გაგრძელებად მიიღოთ, შეიძლება — არა. ნება თქვენია.

საქართველოს ჟურნალისტთა ასოციაცია „სხივის" საგამოფენო სალონში გაიხსნა საქველმოქმედო გამოფენა — „გახსოვდეთ 9 აპრილი!".

გამოფენა დალოცა ანჩისხატის ეკლესიის წინამძღვარმა მამა ზაქარიამ.

გვახსოვდეს 9 აპრილი!

გამოფენაზე ასოციაცია „სხივის" პრეზიდენტმა, რეჟისორმა და ფოტოხელოვანმა თამაზ ბიბილურმა დოკუმენტურად წარმოადგინა 9 აპრილის მოვლენები.

იმ საბედისწერო დღეებში თანამიმდევრულად არის „შეჩერებული წამი", როგორ გადაიტანეს პატრიარქის რჩევით ტრაგიკულად დაღუპულთა სურათები სიონის ეზოში, როგორ აღინიშნა განსვენებულთა 40-ის დღე, როგორ ჩამოვიდნენ ექიმები სხვადასხვა ქვეყნებიდან დაჭრილთა და მოწამლულთა სამკურნალოდ. შთამბეჭდავია დედა ტერეზას სტუმრობის ამსახველი და საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას უნიკალური ფოტოები. ეს შესანიშნავი კოლექცია აქ მუდმივად დაფუძნდება.

საქართველოს ჟურნალისტთა ასოციაცია „სხივი" ყველა შეძლებულ და გამოჩენილ მეწარმეს, ბიზნესმენს, კერძოდ: კორპორაცია „არაგვის" პრეზიდენტს კოტე კაპანაძეს, ფირმა „ერქვანის" პრეზიდენტს კობა ჯიბლაშვილს, საქართველოს რეფორმატორთა კავშირის თავმჯდომარეს ბაკურ გულუას, კავკასიის ბირჟის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს ამირან ქადაგიშვილს, „კოკა-კოლა კავკასიონის" პრეზიდენტს თეიმურაზ ჭყონიას და სხვებს სთხოვს გაუწიონ სპონსორობა.

მკითხველს ვაცნობებთ, რომ დეკემბერ-იანვრის ტრაგიკული მოვლენების შედეგად „სხივის" მიერ დაწყებული საერთაშორისო ჰუმანიტარული აქცია „მშვიდობით, იარაღო" გრძელდება 1995 წლის 1 იანვრამდე. ეს აქცია დალოცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

იზა ჯაჭვაძე.

პოლიტიკური კულისები

ფარდა ოდნავ ასწიეს

„უდავო პოლიტიკურ ნიჭთან ერთად ჟირინოვსკის ახასიათებს სრული უპრინციპობა და პოლიტიკური ავანტიურიზმი", — ამ დახასიათებაში ახალი, მით უფრო, სენსაციური არაფერია, თუ არა ერთი გარემოება: ეს სიტყვები ეკუთვნის სულ ცოტა ხნის წინათ მის თავდადებულ ქომაგსა და აქტიურ პროპაგანდისტს, მწერალ ედუარდ ლიმონოვს, რომელმაც არც მეტი, არც ნაკლები, მიწასთან გაასწორა და ტალახში აზილა ვლადიმერ ვოლფოვიჩ ჟირინოვსკი-ედელშტეინი გაზეთ „ნოვი ვზგლიადის" მერვე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „ლიმონკა ჟირინოვსკისათვის".

ფაქტებით დატენილი „ლიმონკა" შეუგდო მეგობარყოფილს — „ულტრები" თავიანთი მეთოდით მუშაობენ.

სტანციის კლუბში გამართულ მიტინგზე ჟირინოვსკი ყაზახებს სომხური მაფიისგან გათავისუფლებას სახალხოდ დაპირდა, მეორე დღეს კი სომხური მაფიის ემისარს ეფიცებოდა, რომ დაიცავდა მათ ინტერესებს ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიისათვის სარფიანი ფინანსური ოპერაციების სანაცვლოდ.

ასეთი მაგალითი — ასობით.

ავანტიურისტი კი არა, პოლიტიკური შარლატანია, მაქინატორი, პროვინციელი ილუზიონისტივით რომ ცდილობს თავისი პოლიტიკური კარიერის ფაქტების გაქრობას.

ჩვენ ხომ ყველაფერს უცხოეთის პრესიდან ვიგებთ! აგერ, გუშინწინ ამერიკელი ჟურნალისტების მიერ ალმათის (ჟირინოვსკის მშობლიური ქალაქის) მმაჩის რამდენიმე ბიუროდან ამოკრეფილი დოკუმენტებით წარმოაჩინეს ანტისემიტიზმის რუსი ლიდერის ებრაული წარმომავლობა (იხ. „სრ" № 53, 1994 წ.); უფრო ადრე, ჯერ ფრანგულმა „ლე პარიზიენმა" (1993 წლის 28 დეკემბერი), მიყოლებით — „ლე მონდმა" (იმავე წლის 29 დეკემბერი) დოკუმენტურად დაადასტურეს, რომ 1980 წელს ჟირინოვსკი ებრაული კულტურის საზოგადოების „შალომის" აქტიური წევრი იყო, და ასევე აქტიურად მუშაობდა საბჭოთა სიონისტების ჯგუფში 1989 წლამდე. ორი წლის შემდეგ კი რუსეთის პრეზიდენტად წამოაყენა თავისი კანდიდატურა უკვე როგორც რუსმა ულტრანაციონალისტმა.

„ლე მონდი" ამტკიცებს — 1983 წელს ჟირინოვსკიმ პირველი ნაბიჯები გადადგა ისრაელში გადასასახლებლად როგორც ებრაელმა, აღთქმულ ქვეყანაში, სამშობლოში დასაბრუნებლად. არ გაუშვეს.

ჯერ კიდევ შარშან, იანვარში, გაზეთ „რუსსკაია მისლში", რომელიც პარიზში გამოიცემა, მოსკოველი ლევ ალეინიკი წერდა, რომ ზემოთ ნახსენები საზოგადოება „შალომის" ახლად არჩეული გამგეობის წევრების ტელეფონების სიაში მე-12 ნომრად „რუსების ინტერესების ამჟამინდელი დამცველი" ვლადიმერ ვოლფოვიჩ ჟირინოვსკია დაფიქსირებული.

ერთი წლის მანძილზე ელდეპეს ლიდერი სანიმუშო მოსწავლესავით ელცინის საკონსტიტუციო კომისიაში იჯდა. შარშანდელ ოქტომბრის პუტჩს ახლოც არ გაეკარებია.

ნდობა დაიმსახურა: მაშინ, როდესაც 13 ნაციონალისტურ პარტიასა და მოძრაობას არჩევნებში მონაწილეობის გზა გადაუკეტეს, ჟირინოვსკის „მწვანე შუქი" აუნთეს.

გაიმარჯვა არჩევნებში და გაუტია, მაგრამ რა გაუტია!

უკიდურესობის ალოგიკური ამპლიტუდით ქანაობს პოლიტიკური ცირკის სარბიელზე გაბმული საქანელით ჯამბაზი ჟირინოვსკი, და ყველა მისი „ფენომენის" ამოცნობას ცდილობს.

ზოგი მარიონეტების თეატრის პრინციპში პოულობს ახსნას, ზოგი დაჩაგრულ-გაღატაკებული რუსი ხალხის ოცნებაში — აღიდგინოს იმპერიული ძლიერება, ეძებს მისი პოპულარობის ფესვებს.

ზოგისთვის ჟირინოვსკი საქონელია, რომელიც ძვირად ფასობს და მხოლოდ ფერად პიჯაკებში გამოწყობილ ბანკირ-ბიჭებს შეუძლიათ მისი ყიდვა. თვითონაც ისე შედის ეშხში, რომ პარიზში ყოფნისას როტშილდთან შეხვედრას ცდილობს:

„იმ დილით ჟირინოვსკიმ დამირეკა და გამოთქვა სურვილი შეხვედროდა... როტშილდს. „ვის? — შევეკითხე, — როტშილდები ათობით არიან"... „აი, მთავარს, იმას, რომელიც ბანკირია"... (ციტატა ლიმონოვის დამოწმებული სტატიიდან).

აი, სურვილის მასშტაბურობისა და მასშტაბური უგუნურობის უნიკალური შენადნობი!

ბოლოს და ბოლოს, ჟირინოვსკიზე ყველაფერი ითქმება. სანამ სჭირდებათ, ათამაშებენ. ჯერ ცოტ-ცოტა შეგვახედეს კულისებში. ცოტა ხნის წინათ ამასაც არ აკეთებდნენ: იგივე ედუარდ ლიმონოვის წერილმა „ნაციონალიზმის გაუკუღმართება", რომელიც მთლიანად ჟირინოვსკის ეძღვნებოდა, შარშანდელი თებერვლიდან მოყოლებული აგვისტომდე ამაოდ იხეტიალა რუსეთის პატრიოტული და დემოკრატიული პრესის აზბოქრებული ზღვის რედაქციების ნავსადგურებში, არავინ დაბეჭდა.

ფარდა ოდნავ აიხადა.

ჟირინოვსკი-ეიდელშტეინმა კი თავისი კანდიდატურა კვლავ წამოაყენა რუსეთის პრეზიდენტის პოსტზე. თუმცა, სიტუაცია უკვე საკმაოდ შეიცვალა: რუსეთში მისი რეიტინგი 38-დან 5 პროცენტამდე დაეცა.

ახლა ასეა.

ორშაბათამდე კი გაღწევაა საჭირო.

არმაზ სანებლიძე.

ნატიფი შამათი

რუბრიკას უძღვება
შოთა ინწკირველი

პირველი ქართველი დიდოსტატი

ბუხუტი გურგენიძე 60 წლისაა. 50-იანი წლების დამდეგს მისი მოსვლით ქართული ჭადრაკის ახალი ერა დაიწყო. ქართველი საზოგადოებრიობისათვის თითქმის უცნობია ამ უნიჭიერესი, თავისთავადი მოჭადრაკის ბრწყინვალე შემოქმედება (ჩემი დაჟინებული თხოვნით მან ოცდაათი წლის წინათ დაიწყო წერა წიგნისა — „რჩეული პარტიები", რომლის დამთავრებას დღემდე საშველი არ დაადგა) ბუხუტი გურგენიძე ღრმა ანალიტიკოსია. ცნობილია, პოზიციის მისეული სასწაულებრივი ანალიზი. ის თავის უნარს უშურველად უწილადებდა ალექსანდრიას, ჩიბურდანიძეს, ეტიუდისტ ნადარეიშვილს... ეს უცნობი პარტია გათამაშდა მისი საჭადრაკო კარიერის გარიჟრაჟზე, საკავშირო ჩემპიონატის მეოთხედფინალში ოსტატ სუეტინთან და გურგენიძისეული ორიგინალური ხელწერით აღბეჭდილი ურთულესი ნაწარმოებია. (შემორჩა პირად არქივში და დღემდე ჩემში ასოცირებულია „ხასანბეგურასთან").

სუეტინი-გურგენიძე. ნიმცოვიჩის დებიუტი. მოსკოვი, 1951 წელი. ქრისტეშობისთვე. 1. e4 მc6 ამ დასაწყისის ავტორია XIX საუკუნის გერმანელი მოჭადრაკე ფიშერი. ახლა ის იცვლის სახეს და ძველინდურს დამსგავსება (სხვათა შორის, ამგვარ სქემას წარმატებით იყენებდნენ ანდრია დადიანი, პირცი, უფიმცევი), 2. მf3 g6 3. d4 კg7 4. მc3 d6 5. h3 მf6 6. კg5 h6 7. კe3 d5 (დებიუტმა კვლავ იცვალა სახე. გურგენიძე ტემპს კარგავს, რათა გაარკვიოს ცენტრალურ პაიკთა განლაგება. სხვა დამაკმაყოფილებელი გაგრძელება არ ჩანს. თუ 7. ...e5, მაშინ 8. de! de 9. კb5 ან 8. ...მe5 9 მd4! და ცენტრში თეთრების პოზიცია უმჯობესია). 8. e5 მe4 9. ლd3 (ჯობდა 9. კd3 ახლა 9. ...კf5 მოჰყვება 10. ლb5) 9. ...a6 10. მe2 (თეთრებისათვის არასასურველია 10. მe4 de 11. ლe4, კf5 და მb4 გამო) 10 ...კf5 11. g4 მc5 (თუ 11. ...მf2, მაშინ 12. ლb3 მh1 13. gf და კg2) 12. ლc3 კe4 13. ლc5 კf3 14. ეg1 e6 15. a3 (არალოგიკურია. ეს სვლა ჯერჯერობით საჭირო არ იყო. სწორია 15. ლc3! h5 16. g5 h4 17. მf4 თეთრების უპირატესობით) 15. ...h5 16. ეg3 კe4 17. 0—0—0 h4 18. ეg1 მa7 19. ლb4 b5 20. ლd2 თეთრებს მაინც მოუწიათ ლაზიერით უკანდახევა, ხოლო 15. a3 სვლით მათ დაასუსტეს მეფის პოზიცია. გურგენიძე ბრწყინვალედ იყენებს ამას მეფეზე პირდაპირი შეტევისათვის 20. ...მc6 21. კg5 f6 22. ლc3 (უმჯობესია 22. ef კf6 23. კf6 ლf6 24. f4 და კg2) 22. ...მfd7!! 23. ef კf6 24. კd2 g5 25. f3 თეთრების მცდელობა f3 სვლით კუ მოეგოთ, ჩაიშალა. რთული, დრამატიზმით აღსავსე ბრძოლაში სუეტინი მისდაშეუმჩნევლად წაგებისაკენ მიექანება. 25. ...კg6 26. კg2 a5 27. ლe3 b4 28. a4 ეa6 (მზადდება ეტლის გადაყვანა c6 უჯრაზე. მაგრამ წინასწარ საჭირო იყო 28. ...ეe8 (პროფილაქტიკა), რათა 29. f4 სვლაზე ეპასუხა 29. ...gf!) 29. f4 [illegible] (თუ 29. ...მa7. მაშინ [illegible]) 30. fg ეc6 31. c3 ამ იძულებითი სვლით, h1-h7 დიაგონალზე შექმნილი საბედისწერო, გამჭოლი „ორპირი ქარის" განეიტრალება სუეტინს არ დასცალდება. 31. ...bc 32. მc3? (აუცილებელი იყო 32. კc3 სვლით თეთრი მეფისათვის d2 უჯრის განთავისუფლება. ამ პარტიაში თავსმოხვეულ, რთულ, უჩვეულო ბრძოლაში გზის გაგნება ოსტატს გაუჭირდა! 32. ...ლb8! 33. კf1 ლb3 34. კd3 კg5!

• გურგენიძე



სუეტინი

ნოლამდე დაყვანილი თეთრი მეფის მოძრავუნარიანობა მოტივია, რომელიც იწვევს ლაზიერის გადატვირთვას (ესეც მოტივია), ხოლო ამაზედ აღმოცენებული ტაქტიკური დარტყმა 34. ...კg5! წარმოშობს ახალს, ამჯერად გადამწყვეტ მოტივს — d2 კუს დაბმას. 35. ლf3 ეc3! 36. bc ლc3 37. მფb1 კd3 38. მფa2 კc4 სუეტინი დანებდა.

ეს არაორდინარული პარტია 18 წლის ოსტატობის კანდიდატის ბრწყინვალე შემოქმედებითი გამარჯვებაა. ამნაირ დაქსაქსულობასა და მრავალხმიანობაში ფარული ჰარმონიის მიგნება, მელოდიის შექმნა მხოლოდ დიდ ტალანტს ხელეწიფება.

ქართული ჭადრაკის ისტორიისათვის

1901 წლის 9 იანვრიდან 20 თებერვლამდე თბილისში ჩატარდა ადგილობრივ უძლიერეს მოყვარულთა (ადრე ვისაც ოსტატის წოდება არ ჰქონდა, მოყვარულად იწოდებოდა) ორწრიანი საჭადრაკო ტურნირი. 14,5 ქულით ოცი შესაძლებლიდან პირველი ადგილი დაიკავა სმიტენმა, პროფესიით ექიმმა. 12,5 ქულით მეოთხეა გრუზინსკი, ხოლო მეცხრე ადგილზე გასულ არჯევანიძეს 8 ქულა აქვს (ეს გვარი გვხვდება თბილისის 1922 წლის ჩემპიონატშიც). 11 ქულით მეხუთე ადგილი დაიკავა ვინმე „გ. ზ."-მ, რომელიც წინა საუკუნიდან მოკიდებული სისტემატურად აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოკიდებული, ეს ტურნირი, თუ ჩემპიონატი, რიგით მეექვსეა.

• • •

სურათზე: ბუხუტი გურგენიძე.

ფეხბურთი

14 და 22 აპრილს ეროვნული თასის გათამაშების ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „ბათუმი"-რუსთავის „მეტალურგი" და ფოთის „კოლხეთი"-თბილისის „დინამო". ამ ეტაპის კენჭისყრა გუშინ გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში.

* * *

აფრიკის ჩემპიონატის ფინალურ მატჩში 10 აპრილს ითამაშებენ ნიგერიისა და ზამბიის გუნდები. გთავაზობთ ნახევარფინალური მატჩების შედეგებს: ნიგერია-კოტ დივუარი 2:2, პენალტებით 4:2. ზამბია-მალი 4:0.

* * *

გაიმართა ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების მორიგი ტურის შეხვედრები.

ესპანეთი. „ბარსელონამ" შინ სძლია „რაიო ვალეკანოს" 1:0, მოაგროვა 45 ქულა და დაეწია ლიდერს — „დეპორტივოს", რომელმაც ამ დღეს საკუთარ მოედანზე გამოტოვა მატჩი „ატლეტიკოსთან".

გერმანია. „ბაიერნი" სტუმრად დამარცხდა „ბორუსიასთან" 0:2, მაგრამ ინარჩუნებს პირველ ადგილს. რევაზ არველაძის „კელნმა" მოუგო „ვატენშაიდს" — 3:2, ხოლო კახი ცხადაძის „აინტრახტმა" კვლავ წააგო, ამჯერად „დუისბურგთან" 1:2.

მინი-ფეხბურთი

16 აპრილამდე გასტანს დედაქალაქის უბნების ჩემპიონატი, რომელსაც სპორტის სასახლე მასპინძლობს. 12 გუნდის ასპარეზობის სპონსორია კომპანია „ჯორჯიანტრანზოილი". პირველი გამარჯვებები მოიპოვეს „მთაწმინდამ", „პლეხანოვმა", „ვაკემ" („ა" ჯგუფი) და „საბურთალოს" სამივე გუნდმა („ბ" ჯგუფი).

ეძღვნება მსოფლიო ჩემპიონატს



ყოველდღიური საზრუნავისა და პრობლემების მიუხედავად, საქართველოში ინტერესი ფეხბურთისადმი არ ჩამქრალა. ღმერთმა ნუ ქნას!

გულშემატკივრები უკვე შეამჩნევდნენ მსოფლიოს XV ჩემპიონატისადმი (ივნის-ივლისი, ამერიკის შეერთებული შტატები) მიძღვნილ მრავალფეროვან ატრიბუტიკას. აი, ერთ-ერთი მათგანიც — ღვაწლმოსილი სპორტული ჟურნალისტის გარუნ აკოფოვის მიერ შედგენილი, სულ ახლახან გამოცემული კალენდარი, რომლის ტირაჟი 5 000 ეგზემპლარია, ხოლო ფასი კი 200 მანეთი ან 50 000 კუპონი.

იჩქარეთ ყიდვა, გულშემატკივრებო!

ხსოვნა

დურმიშხან თევდორაძე

კეთილშობილი პიროვნების, ნამდვილი მეგობრის, სამაგალითო მეოჯახისა და უშურველი ადამიანის სიკვდილი ყოველთვის გულსატკენია.

კიდევ ერთი სპეტაკი მამულიშვილი, ქართული წიგნის გავრცელების თავდადებული მოამაგე, კულტურის დამსახურებული მუშაკი გამოაკლდა წიგნის ვაჭრობის მუშაკთა რიგებს — გარდაიცვალა დურმიშხან ანდროს ძე თევდორაძე — „საქწიგნის" მთაწმინდის რაიონის გაერთიანების დირექტორი. იგი დაიბადა 1929 წელს, ვანის რაიონის სოფელ ინაშაურში.

დიდი გულისტკივილითა და მწუხარებით ვეთხოვებით საყვარელ მეგობარს, რომელიც ოთხი ათეული წლის განმავლობაში უმწიკვლოდ ემსახურა წიგნის გავრცელებისა და პროპაგანდის კეთილშობილ საქმეს. ოჯახმა დაკარგა კარგი მეუღლე, მზრუნველი მამა, კოლექტივმა — კარგი ხელმძღვანელი.

სამუდამოდ წავიდა ჩვენგან, დაგვიტოვა განუზომელი ტკივილი, მოგონება, ბატონი დურმიშხანი იყო მართალი, ალალი, საოცრად ამაღლებული, წმინდა, მომხიბლავი თავისი უშუალობითა და სისადავით, ულალატო, უკომპრომისო საკუთარი თავისადმი და დახანანია, სწორედ მაშინ წავიდა ჩვენგან, როცა ბევრი რამის გაკეთება შეეძლო მეგობრების, ახლობლებისა და საქმის საკეთილდღეოდ.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტი; „საქწიგნის" სამმართველო; მთაწმინდის რაიონის გაერთიანების კოლექტივი.

ბორის ინასარიძე

ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 61 წლისა გარდაიცვალა რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქსოფლწყალმომარაგების" უფროსი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, გამოჩენილი ქართველი ჰიდროტექნიკოსი ბორის იაკინთეს ძე ინასარიძე.

დაიბადა 1933 წელს. თითქმის 40 წლის მანძილზე თავდადებით ემსახურებოდა საყვარელ საქმეს.

„საქსახწყალპროექტის" ინსტიტუტში რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ ბ. ინასარიძე პრაქტიკულ საქმიანობაში ჩაება, მუშაობდა კახეთის, შიდა ქართლის, დასავლეთ საქართველოს სამშენებლო-სამელიორაციო სამმართველოების უფროსად.

1977 წლიდან რვა წელიწადზე მეტ ხანს იგი იყო „კოლხეთმშენის" ტრესტის მმართველი. აქ მთლიანად გამოვლინდა ბორის ინასარიძის დიდი ორგანიზატორული და შემოქმედებითი ნიჭი.

მისი დიდი ორგანიზატორული ნიჭი ასევე მკაფიოდ გამოჩნდა რესპუბლიკური გაერთიანება „საქწყალექსპლოატაციის" თავმჯდომარის მოადგილედ და „საქსოფლწყალმომარაგების" საწარმოო გაერთიანების უფროსად მუშაობისას.

ბორის ინასარიძეს გატაცებით უყვარდა ქართული ლიტერატურა. ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მისი უახლოესი მეგობარი იყო დიდი ქართველი მწერალი გურამ რჩეულიშვილი. სწორედ მახლობლობის, სიყვარულისა და ერთგულების გამო იგი 1992 წელს აირჩიეს იმხანად დაფუძნებული საქართველოს რესპუბლიკის გურამ რჩეულიშვილის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად.

ბორის ინასარიძე იყო ჭეშმარიტი პატრიოტი, საყვარელი მამულის საქმით, შრომით და, არა მხოლოდ სიტყვით, მშენებელი, უერთგულესი, იმედიანი, მუდამ მხარში მდგომი მეგობარი.

ბ. ინასარიძის ბუნებით რკინისებურ ჯანმრთელობას გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა საყვარელი სიძის 26 წლის კოკა კლდიაშვილის უდროოდ დაკარგვამ, რომელიც ერთი პირველთაგანი გმირის სიკვდილით დაეცა ლესელიძესთან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში.

ბორის ინასარიძე დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენითა და მედლით, იყო ღირსეული პიროვნება, მოღვაწე, მშენებელი, შემოქმედი. მის ნათელ სახელს დავიწყება არ უწერია.

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო; საქართველოს რესპუბლიკის გურამ რჩეულიშვილის საზოგადოება.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს თანამშრომელს ლადო დარასელიას ძმის

კოტე იონას ძე დარასელიას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორატი, სატყეო და საბაღე-საპარკო მეურნეობის ფაკულტეტი, სატყეო მეურნეობის ეკონომიკისა და ტყის ტაქსაციის კათედრა, ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კონსტანტინე მიხეილის ძე თარგამაძე

და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ აკადემიკოს გიორგი ციციშვილს გარდაეცვალა დედა

მარიამ ალექსანდრეს ასული ანანიაშვილი-ციციშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

იყიდება
პრივატიზებული, სამოთახიანი,
გარემონტებული ბინა 2 ლოჯით, საერთო ფართით
80 კვ.მ., ჭერის სიმაღლე 2,60 მ. 6 სართულიანი
სახლის IV სართულზე, სარდაფით, ტელეფონით.
(ყაზბეგის პრ. დასაწყისში,
მეტრო «სამედიცინო ინსტიტუტის» წინ).
ფასი შეთანხმებით.
ტელ: 37-16-69.

ბანკებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საყურადღებოდ!
გთავაზობთ ამერიკული დოლარის შესამოწმებელ მიკროპროცესორულ დეტექტორებს: SUPERSCAN — 2100 და CASHSCAM — 1800 ყველაზე დაბალ ფასებში. 1 წლის საგარანტიო მომსახურებით. აგრეთვე ვაწარმოებთ დაზიანებული აპარატების შეკეთებას და რეგულირებას. გაგიწევთ კონსულტაციებს ექსპლოატაციის განმავლობაში გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.
დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ დაგვირეკოთ ტელეფონზე 95-45-94 (10-დან 15 საათამდე).

ქირავდება
ოროთახიანი, იზოლირებული, მაღალჭერიანი,
არასტანდარტული, ახალგარემონტებული ბინა დიდი
აივნით, იმპორტული ავეჯით, ტელეფონით, მესამე
სართულზე ხუთსართულიან სახლში
რესპუბლიკური საავადმყოფოს უკან
(საბურთალოს მეტროსთან ახლოს).
ტელ: 22-32-11.
ქირავდება

მთავარი რედაქტორი ზურაბ ზოზიაშვილი.
ინდექსი 6643